



შენაბამისობის აუდიტის ანგარიში





სახელმწიფო აუდიტის სამსახური

„ვამტკიცებ“

თვითმმართველი ერთეულების აუდიტის დეპარტამენტი
დეპარტამენტის უფროსი
გიორგი მამრიკიშვილი

30 დეკემბერი 2021 წელი

N 60/36

ეგზ.: N 1

სენაკის მუნიციპალიტეტის 2019-2020
წლების საქმიანობის შესაბამისობის
აუდიტის ანგარიში

შინაარსი

ძირითადი ნაწილი	ტერმინები და შემოკლებები	3
	შემაჯამებელი მიმოხილვა	4
	რეკომენდაციები	6
	1. შესავალი	8
	ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა	8
	აუდიტორის პასუხისმგებლობა	8
	აუდიტის საგანი	8
	აუდიტის მასშტაბი	8
	აუდიტის კრიტერიუმები	9
	აუდიტის მიზანი	9
	აუდიტის მეთოდოლოგია	10
	ზოგადი ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ	10
	2. აუდიტის მიგნებები	11
	დანართები	33
	საკონტაქტო ინფორმაცია	36
დანართები		

ტერმინები და შემოკლებები

ა(ა)იპ – არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი.

ი/მ – ინდივიდუალური მეწარმე.

მერია – სენაკის მუნიციპალიტეტის მერია.

მუნიციპალიტეტი – სენაკის მუნიციპალიტეტი.

საკრებულო – სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულო.

სს – სააქციო საზოგადოება.

შემსყიდველი ორგანიზაცია – სენაკის მუნიციპალიტეტის მერია.

შპს – შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება.

შემაჯამებელი მიმოხილვა

ფინანსური რესურსების მართვა

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა სენაკის მუნიციპალიტეტის 2019-2020 წლების საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი.

აუდიტის შედეგად გამოვლინდა შემდეგი ნაკლოვანებები:

ფინანსური რესურსების მართვის ხარვეზები

მუნიციპალიტეტში არსებობს როგორც ფინანსური რესურსების, ასევე დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტების მართვის ხარვეზები. მუნიციპალიტეტმა ვერ უზრუნველყო „არაფინანსური აქტივების ზრდის“ პარამეტრების სათანადოდ დაგეგმვა და შესრულება, რის გამოც საბიუჯეტო მუხლის შესრულებას 2019-2020 წლებში, შესაბამისად, 15.0%¹ და 16.0%² დააკლდა. ამასთანავე, მუნიციპალიტეტმა დააგროვა არსებითი მოცულობის თავისუფალი ნაშთი.³

ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია

ინფრასტრუქტურული პროექტების მართვის ხარვეზები

მუნიციპალიტეტში არსებობს ინფრასტრუქტურული პროექტების მართვის ხარვეზები. შესრულებული სამუშაოების ხარისხის კონტროლის სისტემის ნაკლოვანებების გამო, მუნიციპალიტეტში ერთი მილიონი ლარის ღირებულების პროექტების განხორციელებისას, არ არის მიღწეული სამუშაოების დადგენილი ხარისხი, რითაც ობიექტების მდგომარეობა მოკლე პერიოდში გაუარესებულია.

გამოყენებული ინფრასტრუქტურა

მუნიციპალიტეტმა დაგეგმა და შეისყიდა ისეთი პროექტები, რომლებიც უფუნქციოა და არ იყენებს. შესაბამისად, ბიუჯეტიდან გაწეულია 284.2 ათასი ლარის არაეფექტიანი ხარჯი და დასახული მიზანი არ არის მიღწეული.

მუნიციპალური სერვისების მიწოდება

მოსახლეობის წყალმომარაგების პრობლემები

მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელებული ღონისძიებები მოსახლეობის წყალმომარაგების კუთხით არასაკმარისია და გაწეულია მხოლოდ 365.5 ათასი ლარის ხარჯი. მოსახლეობის უმეტეს ნაწილს წყალი არ მიეწოდება ან მიეწოდება შეფერხებით. სასმელი წყალი არ იწმინდება და მისი ხარისხი არ მოწმდება.

სახელმწიფო შესყიდვების მართვა

სატენდერო ხარვეზი

სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისას, მუნიციპალიტეტმა სატენდერო პროცესი წარმართა იმგვარად, რომ ერთ შემთხვევაში დაუსაბუთებლად მისცა პრეტენდენტს დისკვალიფიკაცია, ხოლო მეორე შემთხვევაში – ტენდერი შეწყვიტა. შედეგად, მუნიციპალიტეტმა დაკარგა 339.7 ათასი ლარის სატენდერო ეკონომიის მიღების შესაძლებლობა.

სამუშაოების მიწოდების ვადის დაუსაბუთებელი ზრდა

მუნიციპალიტეტმა დაუსაბუთებლად გაზარდა სამუშაოების მიწოდების ვადები, რის გამოც ინფრასტრუქტურული პროექტების სახით განსაზღვრული პროდუქტი მოსახლეობას დადგენილ დროში ვერ მიეწოდა. შესყიდვების პროცესის კონტროლის სისტემის გამო, მუნიციპალიტეტმა გეგმა-გრაფიკის დარღვევისას მიმწოდებლებს პირგასამტეხლო არ დაარიცხა. აღნიშნული ქმედებების შედეგად მუნიციპალიტეტმა ვერ მიიღო, დაახლოებით, 497.9 ათასი ლარის საჯარიმო თანხა.

¹ ვერ იქნა ათვისებული 1,452.5 ათასი ლარი.

² ვერ იქნა ათვისებული 1,868.0 ათასი ლარი.

³ 2019 წელს - 651.1 ათასი ლარი, 2020 წელს - 182.4 ათასი ლარი.

ტრანსპორტის შენახვა და ექსპლოატაცია

ავტოპარკის მართვის ხარვეზები

მუნიციპალიტეტის მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების განსახორციელებლად გამოყენებული სამორიგეო სატრანსპორტო საშუალებების რაოდენობა, საშუალოდ, 65 ერთეულით აღემატება საკრებულოს მიერ დადგენილ ზღვრულ ოდენობას.

ინვენტარიზაცია

ჩატარებული ინვენტარიზაცია

მუნიციპალიტეტში არ ჩატარებულა ძირითადი საშუალებების და მატერიალური ფასეულობების ინვენტარიზაცია. შედეგად, არსებობს რისკი, რომ მუნიციპალიტეტის კუთვნილი ქონების დაკარგვის ან დაზიანების შემთხვევები დარჩეს შეუმჩნეველი, შესაბამისი რეაგირების გარეშე.

რეკომენდაციები

მუნიციპალიტეტის მერიამ:

- ფინანსური რესურსების რაციონალური მართვის უზრუნველყოფის მიზნით, ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებები გამოიყენოს შესაბამისი წლის ბიუჯეტით დაგეგმილი პროგრამების/ქვეპროგრამების მიზნების და მოსალოდნელი შედეგების მისაღწევად. ამასთანავე, ბიუჯეტი დაგეგმოს იმგვარად, რომ არ დაუშვას ნაშთის უკონტროლო დაგროვება და არსებული ნაშთი მიმართოს ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების დასაფინანსებლად.
- შეიმუშაოს და დანერგოს სამშენებლო სამუშაოების მიღება- ჩაბარებისა და მონიტორინგის წესი, სადაც დეტალურად იქნება გაწერილი მოქმედი სტანდარტების დაცვით სამუშაოების შესრულებისათვის საჭირო კონტროლის მექანიზმები. დოკუმენტით ნათლად უნდა განისაზღვროს კონტროლის თითოეულ ეტაპზე ჩასატარებელი სამუშაოები და კონტროლის განმახორციელებელი პირები, მათი მოვალეობები და პასუხისმგებლობები. აღნიშნული ხელს შეუწყობს კონტროლის მექანიზმების გამართულ ფუნქციონირებას, პროექტის შემოწმებისათვის საჭირო ყველა პროცედურის სათანადოდ წარმართვას და ხარისხიანი პროექტების ჩაბარებას. ამასთანავე, მერიამ შეისწავლოს პროექტების დაზიანების გამომწვევი მიზეზები და უზრუნველყოს მათი აღმოფხვრა.
- განკარგვაში არსებული ფინანსური რესურსი მიმართოს დაწყებული ობიექტების დასასრულებლად. ამასთანავე, ინფრასტრუქტურული სამუშაოები დაგეგმოს ყველა იმ ფაქტორის გათვალისწინებით, რამაც შესაძლოა ხელი შეუწყოს პროექტის წარმატებით დასრულებას ან/და გამოყენებას. მათ შორის, შეისწავლოს პროექტის შესასრულებლად საჭირო რესურსი და აქედან გამომდინარე განსაზღვროს, რამდენად შესაძლებელია პროექტის განხორციელება და დასახული მიზნის მიღწევა. აღნიშნული ხელს შეუწყობს სამუშაოების დროულად დასრულებას, ობიექტების ექსპლოატაციაში მიღებას და მოსახლეობისთვის შესაბამისი სერვისების მიწოდებას.
- ხელშეკრულების პირობების განსაზღვრისას გამოიყენოს საჯარიმო სანქციების ისეთი მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს შესყიდვის ობიექტების მიწოდების დაგვიანების თავიდან აცილებას. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადების ცვლილება არ განახორციელოს დაუსაბუთებელი გარემოებებით და გაითვალისწინოს მხოლოდ ობიექტური, ფორსმაჟორული საფუძვლები. ყველა დანარჩენ შემთხვევაში, ვადებისა და სხვა პირობების დარღვევისათვის გაავრცელოს ხელშეკრულებით განსაზღვრული საჯარიმო სანქციები. აღნიშნული ხელს შეუწყობს სამუშაოების დროულ დასრულებას, საბიუჯეტო შემოსავლების გაზრდას და მიმწოდებლების მიმართ ერთგვაროვანი მიდგომის ჩამოყალიბებას.
- განახორციელოს ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაცია კანონმდებლობით დადგენილი წესით, რაც უზრუნველყოფს აქტივებისა და ვალდებულებების ფაქტობრივი ნაშთების დადგენას და მათ შედარებას ორგანიზაციის სააღრიცხვო მონაცემებთან. აღნიშნულის საფუძველზე შესაძლებელი იქნება ინვენტარიზაციის

შედეგების დადგენა და შესაბამისი მატერიალურად პასუხისმგებელი პირების გამოვლენა. აღნიშნული გაზრდის მუნიციპალური აქტივების დაცულობის ხარისხს.

მუნიციპალიტეტის მერიამ, საკრებულოსთან შეთანხმებით:

- დაგეგმოს და განახორციელოს კომპლექსური ღონისძიებები, რომლებიც გონივრულ ვადაში უზრუნველყოფს წყალმომარაგების მოწესრიგებას და წყლის ხარისხის შემოწმებას. ამასთანავე, ღონისძიებათა გეგმა უნდა ითვალისწინებდეს როგორც წყლის, ასევე საბიუჯეტო რესურსების რაციონალურ ხარჯვას. აღნიშნული ხელს შეუწყობს მოსახლეობის სოციალური პრობლემების გაუმჯობესებას და წყლის სისტემის გამართულ ფუნქციონირებას.

1. შესავალი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

სენაკის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია განხორციელებული საქმიანობის მოქმედი კანონმდებლობით და სხვა მარეგულირებელი ნორმებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობაზე. ხელმძღვანელობა ასევე პასუხისმგებელია სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის აუდიტის მიზნებიდან გამომდინარე მოწოდებული ინფორმაციის სისრულესა და სისწორეზე. ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ასევე მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის პროცესის იმგვარი წარმართვისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით კანონშეუსაბამოებს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

აუდიტორი პასუხისმგებელია აუდიტის ანგარიშში ასახული გარემოებების სისწორეზე. აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტის (ISSAI) შესაბამისად.

აღნიშნული სტანდარტით მოითხოვება, რომ აუდიტორის სამუშაო შეესაბამებოდეს ეთიკის ნორმებს და ითვალისწინებს აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მოპოვებულ იქნეს საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები იმის შესახებ – სენაკის მუნიციპალიტეტის აუდიტის საგანთან დაკავშირებული საქმიანობა შეიცავს თუ არა მოქმედ საკანონმდებლო და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან არსებითი შეუსაბამობის ფაქტებს.

აუდიტის ანგარიშში არ უზრუნველყოფს საქმიანობის კანონმდებლობასთან სრულად შესაბამისობის გარანტიას. აუდიტის პროცესის თანდაყოლილი შეზღუდვების გამო, აუდიტის მსვლელობისას არსებობს რისკი, რომ გარკვეული შეუსაბამოები დარჩეს შეუმჩნეველი, იმის მიუხედავად, რომ აუდიტი დაიგეგმა და შესრულდა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

აუდიტი წარიმართა აუდიტორების პროფესიულ მსჯელობაზე დაყრდნობით დასაბუთებული რწმუნების მისაღებად, რაც მოიცავს პროცედურების ჩატარებას იმ შეფასებულ მნიშვნელოვან კანონშეუსაბამოების რისკებზე, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. მიგვაჩნია, რომ ჩატარებული აუდიტორული პროცედურები საკმარისი და შესაფერისი საფუძველია აუდიტორული დასკვნების გამოსატანად.

აუდიტის საგანი

სენაკის მუნიციპალიტეტის საქმიანობა.

აუდიტის მასშტაბი

აუდიტმა მოიცვა სენაკის მუნიციპალიტეტის 2019-2020 წლების საქმიანობა. აუდიტის მასშტაბად განისაზღვრა სენაკის მუნიციპალიტეტის მიერ 2019-2020 წლებში განხორციელებული საქმიანობის მოქმედი კანონმდებლობასთან და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან შესაბამისობა. გარდამავალი ხელშეკრულებებიდან და წინა აუდიტით გამოვლენილ რისკის შემცველ საკითხებთან დაკავშირებით, შესწავლილ იქნა სხვა პერიოდის დოკუმენტაცია.

აუდიტის კრიტერიუმები

-)/ აუდიტის ძირითად კრიტერიუმებად განისაზღვრა შემდეგი საკანონმდებლო და მარეგულირებელი ნორმები:⁴
-)/ საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“;
-)/ საქართველოს კანონი საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი;
-)/ საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“;
-)/ საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“;
-)/ საქართველოს კანონი „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“;
-)/ საქართველოს კანონი „შრომის ანაზღაურების შესახებ“;
-)/ საქართველოს კანონი „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ“;
-)/ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის №55 დადგენილება „ტექნიკური რეგლამენტის – „სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვისას ზედნადები ხარჯებისა და გეგმური მოგების განსაზღვრის წესის“ დამტკიცების შესახებ“;
-)/ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №58 დადგენილება „სასმელი წყლის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“;
-)/ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 თებერვლის №121 დადგენილება „სახელმწიფო ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციისა და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის წესის დამტკიცების შესახებ“;
-)/ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილება „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“.
-)/ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანება „ავტონომიური რესპუბლიკის და ადგილობრივი ხელისუფლების საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“;
-)/ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის №605 ბრძანება „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“;
-)/ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 5 აპრილის №99 ბრძანება „საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის დამტკიცების თაობაზე“;
-)/ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანება „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე“;
-)/ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანება „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“;
-)/ მუნიციპალიტეტის მიერ მიღებული სამართლებრივი აქტები.

აუდიტის მიზანი

- ა) დასკვნის ჩამოყალიბება საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვების გზით იმის შესახებ, რამდენად შესაბამისობაშია

⁴ 2019-2020 წლებში მოქმედი რედაქციით.

აუდიტის საგანი სათანადო კრიტერიუმთან, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით;

ბ) აუდიტის ანგარიშის მომხმარებლებისათვის ინფორმაციის მიწოდება მიგნებების, დასკვნებისა და სადაც შესაფერისია, რეკომენდაციების შესახებ.

აუდიტის მეთოდოლოგია

აუდიტის საგნის შესახებ ინფორმაციის მოსამზადებლად გამოყენებულია შემდეგი მეთოდები:

- აუდიტის ობიექტების მიერ წარმოდგენილი ინფორმაციისა და მონაცემთა ანალიზი;
- დოკუმენტური შემოწმება;
- ინტერვიუები აუდიტის ობიექტების თანამშრომლებთან;
- ადგილზე დათვალიერება.

ზოგადი ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ

სენაკის მუნიციპალიტეტი არის დამოუკიდებელი იურიდიული პირი, რომელსაც აქვს წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები, განკარგავს საკუთარ ქონებასა და ბიუჯეტს. მუნიციპალიტეტი აერთიანებს 15 ადმინისტრაციულ ერთეულს, რომელიც მოიცავს ერთ ქალაქსა და 62 სოფელს.⁵ მისი ფართობია 520.7 კვ.კმ, მოსახლეობის რიცხოვნობა კი შეადგენს 35.0 ათას კაცს. ადმინისტრაციული ცენტრია ქალაქი სენაკი.⁶

2019-2020 წლებში მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ხარჯები გაწეულია შემდეგ პროგრამებზე: წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება – 5,276.6 ათასი ლარი; თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება – 136.7 ათასი ლარი; ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია – 19,879.3 ათასი ლარი; დასუფთავება და გარემოს დაცვა – 588.6 ათასი ლარი; განათლება – 4,804.8 ათასი ლარი; კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები – 3,129.2 ათასი ლარი; მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა – 2,004.6 ათასი ლარი.

⁵ ინფორმაციის წყარო: mreg.reestri.gov.ge, 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით.

⁶ ინფორმაციის წყარო: www.geostat.ge; www.budgetmonitor.ge - 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით.

2. აუდიტის მიგნებები

2.1 ფინანსური რესურსების მართვა

კრიტერიუმი: ბიუჯეტის პროექტის მომზადების, ბიუჯეტის შესრულებისა და ანგარიშგებისათვის პასუხისმგებელია მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო.⁷ მუნიციპალიტეტმა 2019-2020 წლებში პროგრამული ბიუჯეტებით დაგეგმა შემდეგი შედეგების მიღწევა: ინფრასტრუქტურული ობიექტების მშენებლობა-რეაბილიტაცია, მოსახლეობის პირობების გაუმჯობესება და სხვ.

მუნიციპალიტეტმა უნდა დანერგოს ფინანსური მართვისა და კონტროლის ისეთი სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს სახსრებისა და რესურსების ეკონომიურად, ეფექტიანად და პროდუქტიულად გამოყენებას.⁸

ფაქტობრივი გარემოება: მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შესრულების მაჩვენებლებზე დაყრდნობით, 2019-2020 წლების შემოსულობებმა – 36,937.9 ათასი ლარი, ხოლო გადასახდელებმა – 35,819.8 ათასი ლარი შეადგინა. ბიუჯეტის ფაქტობრივი და გეგმური მაჩვენებლები წარმოდგენილია ცხრილში №1.

ცხრილი №1. მუნიციპალიტეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება 2019-2020 წლებში (ათასი ლარი)

დასახელება	2019 წელი			2020 წელი			შესრულების ჯამი
	გეგმა	ფაქტი	შესრულება	გეგმა	ფაქტი	შესრულება	
შემოსულობები	17,851.8	18,020.7	101%	19,577.6	18,917.2	97%	36,937.9
შემოსავლები	17,708.9	17,932.6	101%	19,377.6	18,804.5	97%	36,737.1
არაფინანსური აქტივების კლება	142.9	88.1	62%	200.0	112.7	56%	200.8
ფინანსური აქტივების კლება	0.0	0.0	–	0.0	0.0	–	–
ვალდებულებების ზრდა	0.0	0.0	–	0.0	0.0	–	–
გადასახდელები	18,793.0	17,070.4	91%	21,430.7	18,749.4	88%	35,819.8
ხარჯები	9,025.8	8,755.7	97%	9,403.5	8,590.2	91%	17,345.9
არაფინანსური აქტივების ზრდა	9,741.5	8,289.0	85%	11,975.9	10,107.9	84%	18,396.9
ფინანსური აქტივების ზრდა	–	–	–	–	–	–	–
ვალდებულებების კლება	25.7	25.7	100%	51.3	51.3	100%	77.0
ნაშთის ცვლილება	-941.2	950.3		-1,853.1	167.8		–

გადასახდელებში მუნიციპალიტეტმა არასათანადოდ შეასრულა „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლი. კერძოდ, მერიამ წლის ბოლომდე ვერ აითვისა ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად საქართველოს მთავრობის განკარგულებით გამოყოფილი თანხები. შესაბამისად, მუნიციპალიტეტმა ვერ მიიღო კრიტერიუმით გათვალისწინებული მოსალოდნელი შედეგები: ძირითადად, ვერ დასრულდა და დაგვიანდა საგზაო ინფრასტრუქტურის, ქუჩების, გზების, მინი-სტადიონებისა და სხვა ობიექტების მშენებლობისა და რეაბილიტაციის სამუშაოები.

⁷ საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი, მუხლი 7, პუნქტი 1, „გ“ ქვეპუნქტი.

⁸ „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 6, პუნქტი 1, ქვეპუნქტი „გ“.

საანგარიშო პერიოდში მუნიციპალიტეტი ფლობდა მნიშვნელოვანი მოცულობის საბიუჯეტო ნაშთებს, კერძოდ, 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, მუნიციპალიტეტს ბალანსზე ნაშთის სახით ერიცხებოდა 954.8 ათასი ლარი. 2019 წლისათვის დაიგემა 941.2 ათასი ლარის ათვისება, თუმცა ნაშთის ცვლილებით გამოწვეულმა ფულადი სახსრების დაგროვებამ 950.3 ათასი ლარი შეადგინა. შესაბამისად, პერიოდის ბოლოს დაფიქსირდა 1,905.1 ათასი ლარის ნაშთი, საიდანაც 651.1 ათასი ლარი თავისუფალი ნაშთია.⁹ 2020 წელს მუნიციპალიტეტმა დაგემა 1,853.1 ათასი ლარის ათვისება, თუმცა დააგროვა 167.8 ათასი ლარი. საბოლოოდ, წლის ბოლოსათვის საბიუჯეტო ნაშთმა 2,072.9 ათასი ლარი შეადგინა, საიდანაც 182.4 ათასი ლარი თავისუფალი ნაშთია.

დასკვნა

მუნიციპალიტეტმა 2019-2020 წლებში ვერ უზრუნველყო ბიუჯეტით დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტების დროულად განხორციელება და დააგროვა არსებითი მოცულობის ნაშთი (მათ შორის, თავისუფალი ნაშთი). აღნიშნული მიუთითებს მუნიციპალიტეტის მფლობელობაში არსებული ფინანსური რესურსების არაეფექტიან მართვაზე.

რეკომენდაცია №1

ფინანსური რესურსების რაციონალური მართვის უზრუნველყოფის მიზნით, მერიამ ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებები გამოიყენოს შესაბამისი წლის ბიუჯეტით დაგეგმილი პროგრამების/ქვეპროგრამების მიზნების და მოსალოდნელი შედეგების მისაღწევად. ამასთანავე, ბიუჯეტი დაგეგმოს იმგვარად, რომ არ დაუშვას ნაშთის უკონტროლო დაგროვება და არსებული ნაშთი მიმართოს ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების დასაფინანსებლად.

2.2 ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია

2.2.1 უხარისხოდ მოწყობილი ინფრასტრუქტურული პროექტები

კრიტერიუმი: მუნიციპალიტეტის მიერ გაფორმებული ხელშეკრულებების პირობების შესაბამისად, მიმწოდებელმა სამუშაო უნდა შეასრულოს ჯეროვნად, სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის, ტექნიკური დავალების და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი სამშენებლო ნორმების დაცვით. სამუშაოს საგარანტიო ვადის განმავლობაში რაიმე წუნის (ნაკლოვანებები, დეფექტი) აღმოჩენის შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია შეტყობინების მიღებიდან, შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ გონივრულ ვადაში, საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს მისი აღმოფხვრა.

ფაქტობრივი გარემოება: 2019-2020 წლებში მუნიციპალიტეტმა სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტი განახორციელა 108 ხელშეკრულების ფარგლებში, ღირებულებით – 21,315.5 ათასი ლარი.¹⁰ აუდიტის ჯგუფმა ინფრასტრუქტურული პროექტები დაათვალიერა მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებთან ერთად,¹¹ რის შედეგად გამოვლინდა უხარისხოდ შესრულებული სამუშაოები. მაგალითად, ქ. სენაკის ცენტრალური სტადიონის შენობის რეაბილიტაციის მიზნით განხორციელებული სარემონტო სამუშაოები, ღირებულებით – 132.5 ათასი ლარი, დაზიანებულია.¹²

⁹ თავისუფალი ნაშთი – ნაშთის ის ნაწილი, რომელიც არ არის გათვალისწინებული რაიმე მიზნებისათვის (საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი, მუხლი 6).

¹⁰ 10 ათასი ლარის და მეტი ღირებულების პროექტები.

¹¹ 2021 წლის 24,28,29 ივნისსა და 1 ივლისს.

¹² NAT190003841, ხელშეკრულება №133; მიმწოდებელი შპს „ტოტალი“. სტადიონზე მოწყობილი ყველა კედლიდან ჩამოყრილია ბათქაში.

გარდა ამისა, უხარისხო სამუშაოები გამოვლინდა 12 ხელშეკრულების ფარგლებში შესრულებულ პროექტებზე, რომელთა ღირებულება 937.3 ათასი ლარია. კერძოდ, დაზიანებულია სასწავლო დაწესებულებები, საგზაო და სხვა დანიშნულების ინფრასტრუქტურული ობიექტები. (იხ. დანართი №1)

მუნიციპალიტეტში დანერგილი პრაქტიკის შესაბამისად, შესრულებული სამუშაოების მიღება-ჩაბარებას და ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე კონტროლს ახორციელებდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შესრულებული სხვადასხვა სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოს მიმღები კომისია. ხელშეკრულებით ასევე განსაზღვრული იყო სამუშაოების მიღება-ჩაბარება საექსპერტო ან/და ტექნიკური ზედამხედველის მიერ გაცემული დასკვნების საფუძველზე, რითაც დასტურდებოდა შესრულებული სამუშაოების მოცულობა, ხარისხი და შესრულების ვადები. წარმოდგენილი ინფორმაციით, მუნიციპალიტეტმა ობიექტები ჩაიბარა დადებითი საექსპერტო დასკვნების საფუძველზე. ამასთანავე, დასკვნებით დადასტურებულია შესრულებული სამუშაოების მოცულობები, ხოლო ხარისხი შეფასებულია მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისი ლაბორატორიული კვლევებით.

როგორც გამოვლინდა, მუნიციპალიტეტის მიერ დანერგილი კონტროლის პროცედურები, ზოგიერთ შემთხვევაში, ვერ უზრუნველყოფდა სათანადო რწმუნებას სამუშაოების ხარისხის მოქმედ სტანდარტებთან და ნორმებთან შესაბამისობაზე. სამუშაოების ნაწილი შესრულებულია უხარისხოდ, ობიექტები დაზიანებულია და საჭიროებს დამატებით რეაბილიტაციას. ობიექტების ექსპლოატაციის პროცესში გამოვლენილი უხარისხობა ძირითადად სამუშაოების მიმდინარეობისას მოქმედი სამშენებლო წესებისა და ნორმების დარღვევის შედეგია, რომლის გამოვლენაც საზედამხედველო და საექსპერტო დაწესებულებების ვალდებულებაა.¹³ დაზიანებული ობიექტების არსებობის მიუხედავად, მუნიციპალიტეტს აღნიშნული ორგანიზაციების პასუხისმგებლობის შესახებ არ უმსჯელია და სათანადო ღონისძიებები არ გაუტარებია.

დათვალიერებით გამოვლენილი დაზიანებული ინფრასტრუქტურული პროექტების საგარანტიო ვადები არ იყო გასული. მუნიციპალიტეტმა მიმწოდებლებს ხარვეზების გამოსწორებისათვის მიმართა მხოლოდ აუდიტის ჯგუფთან ერთად პროექტების დათვალიერების შემდეგ. წარმოდგენილი ინფორმაციით, ერთ ობიექტზე დაზიანებები აღმოფხვრილია.¹⁴

დასკვნა

მუნიციპალიტეტმა ვერ დანერგა კონტროლის სათანადო პროცედურები და პროცესები ვერ წარმართა იმგვარად, რომ არ მიეღო უხარისხოდ შესრულებული ინფრასტრუქტურული პროექტები. კერძოდ, მერიამ ჩაიბარა 1,069.8 ათასი ლარის ღირებულების ისეთი ობიექტები, რომლებიც დაზიანებულია და საჭიროებს დამატებით რეაბილიტაციას. მუნიციპალიტეტი ვალდებული იყო დაედგინა დაზიანების გამომწვევი მიზეზები, გამოეკვლინა მათზე პასუხისმგებელი პირები და ზარალის ანაზღაურების მიზნით გაეტარებინა შესაბამისი ღონისძიებები.

¹³ მუნიციპალიტეტს 2017-2019 წლებში შპს „თი აი ეი ჯი აუდიტესკორტთან“ გაფორმებული ჰქონდა ხელშეკრულება 50.0 ათას ლარზე მეტი ღირებულების ინფრასტრუქტურული ობიექტების საპროექტო და სამშენებლო სამუშაოების საზედამხედველო მომსახურებაზე, ღირებულებით - 692.1 ათასი ლარი (NAT170007702, ხელშეკრულება №190), ხოლო 2020 წელს - 300.0 ათასი ლარი (NAT190024790, ხელშეკრულება №215).

¹⁴ 2021 წლის 1 აგვისტოს მდგომარეობით.

რეკომენდაცია №2

მერიამ შეიმუშაოს და დანერგოს სამშენებლო სამუშაოების მიღება- ჩაბარებისა და მონიტორინგის წესი, სადაც დეტალურად იქნება გაწერილი მოქმედი სტანდარტების დაცვით სამუშაოების შესრულებისათვის საჭირო კონტროლის მექანიზმები. დოკუმენტით ნათლად უნდა განისაზღვროს კონტროლის თითოეულ ეტაპზე ჩასატარებელი სამუშაოები და კონტროლის განმახორციელებელი პირები, მათი მოვალეობები და პასუხისმგებლობები. აღნიშნული ხელს შეუწყობს კონტროლის მექანიზმების გამართულ ფუნქციონირებას, პროექტის შემოწმებისათვის საჭირო ყველა პროცედურის სათანადოდ წარმართვას და ხარისხიანი პროექტების ჩაბარებას. ამასთანავე, მერიამ შეისწავლოს პროექტების დაზიანების გამომწვევი მიზეზები და უზრუნველყოს მათი აღმოფხვრა.

2.2.2 გამოუყენებელი ობიექტები

კრიტერიუმი: მუნიციპალიტეტის ორგანოები უფლებამოსილებათა ფარგლებში ახორციელებენ შესაბამისი ინფრასტრუქტურის მშენებლობას, მოვლა-პატრონობას, რეაბილიტაციას, რეკონსტრუქციასა და განვითარებას.¹⁵ მუნიციპალიტეტმა უნდა დანერგოს ფინანსური მართვისა და კონტროლის ისეთი სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს სახსრებისა და რესურსების ეკონომიურად, ეფექტიანად და პროდუქტიულად გამოყენებას.¹⁶

ფაქტობრივი გარემოება: მუნიციპალიტეტის საქმიანობა დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტების დასრულებისა და ფუნქციონირების, ასევე შეძენილი აქტივების განკარგვის მხრივ, მიმდინარეობს ხარვეზით. მერიამ ვერ უზრუნველყო პროექტების ოპტიმალური დაგეგმვა და არსებული რესურსის ეფექტიანი გამოყენება. აღნიშნულის გამო, 2019-2020 წლებში მუნიციპალიტეტმა შესაბამისი შედეგი ვერ მიიღო, სულ – 284.2 ათასი ლარის საბიუჯეტო რესურსის ხარჯვიდან, კერძოდ:

1) მუნიციპალიტეტმა სკოლებში, ბაღებსა და ამბულატორიაში ჩაატარა ოთახების, გათბობისა და სველი წერტილებისა სარეაბილიტაციო სამუშაოები, ღირებულებით – 181.8 ათასი ლარი. ობიექტების რეაბილიტაცია არ დასრულებულა და მოსახლეობა ვერ სარგებლობს. (იხ. დანართი №2)

აღნიშნული სარეაბილიტაციო სამუშაოები, ძირითადად ჩატარებულია „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში გამოყოფილი თანხებით, მოსახლეობის მოთხოვნის შესაბამისად. პასუხისმგებელი პირების განმარტებით, ობიექტების რეაბილიტაცია ვერ მოხერხდა თანხის სიმცირის გამო. მიუხედავად იმისა, რომ ანგარიშზე მუდმივად ერიცხებოდა საკმარისი რაოდენობის თავისუფალი ნაშთი, მუნიციპალიტეტმა არ გამოყო დაფინანსება პროგრამის ფარგლებში დაწყებული სამუშაოების დასასრულებლად;

2) მუნიციპალიტეტის მიერ ასევე შესყიდულია 102.4 ათასი ლარის ღირებულების სხვა ინფრასტრუქტურული პროექტები, რომლებიც უფუნქციოა და არ გამოიყენება.¹⁷

დასკვნა

ინფრასტრუქტურული პროექტების დაგეგმვასა და აქტივების მართვაში არსებული ხარვეზების შედეგად, მუნიციპალიტეტმა არაეფექტიანად დახარჯა

¹⁵ „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, მუხლი 19.

¹⁶ „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ კანონი“, მუხლი 6, პუნქტი 1, ქვეპუნქტი „გ“.

¹⁷ CMR190104445 - სპორტული მოედნის შემოღობვის სამუშაოები, ღირებულებით - 7.1 ათასი ლარი; NAT20008299 - ინფრასტრუქტურის ობიექტი ყოფილი პიონერთა ბანაკის მიმდებარე ტერიტორიაზე, ღირებულებით - 72.6 ათასი ლარი; NAT20006544 - ინფრასტრუქტურული ობიექტი ქ.სენაკში, მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის გვერდით, ღირებულებით - 22.7 ათასი ლარი.

284.2 ათასი ლარი და ვერ მიაღწია პროექტების განხორციელებით დასახულ მიზანს.

რეკომენდაცია №3

მერიამ მის განკარგვაში არსებული ფინანსური რესურსი მიმართოს დაწყებული ობიექტების დასასრულებლად. ამასთანავე, ინფრასტრუქტურული სამუშაოები დაგეგმოს ყველა იმ ფაქტორის გათვალისწინებით, რამაც შესაძლოა ხელი შეუწყოს პროექტის წარმატებით დასრულებას ან/და გამოყენებას. მათ შორის, შეისწავლოს პროექტის შესასრულებლად საჭირო რესურსი და აქედან გამომდინარე განსაზღვროს, რამდენად შესაძლებელია პროექტის განხორციელება და დასახული მიზნის მიღწევა. აღნიშნული ხელს შეუწყობს სამუშაოების დროულად დასრულებას, ობიექტების ექსპლოატაციაში მიღებას და მოსახლეობისთვის შესაბამისი სერვისების მიწოდებას.

2.2.3 მოსახლეობისთვის გადაცემული მასალების მართვის ხარვეზები

კრიტერიუმი: სოციალურად დაუცველი მოსახლეობის დახმარების მიზნით, აგრეთვე სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ, მუნიციპალიტეტი ახორციელებს საქონლის, მომსახურებისა და სამუშაოების შესყიდვას. მუნიციპალიტეტმა უნდა დანერგოს ფინანსური მართვისა და კონტროლის ისეთი სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს სახსრებისა და რესურსების ეკონომიურად, ეფექტიანად და პროდუქტიულად გამოყენებას.¹⁸

ფაქტობრივი გარემოება: 2019-2020 წლებში მუნიციპალიტეტმა სოციალურად დაუცველი მოსახლეობის დახმარებისა და სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ შეიძინა სამშენებლო მასალები,¹⁹ ღირებულებით – 248.5 ათასი ლარი. მასალები გადაეცა 488 მოსახლეს, რომლებსაც თავისი ძალებით უნდა აღმოეფხვრათ საცხოვრებელ სახლებზე არსებული დაზიანებები.

მუნიციპალიტეტმა სამშენებლო მასალების მოსახლეობისათვის დარიგება გადაწყვიტა ისე, რომ არ გაითვალისწინა მოსახლეობის ცოდნა-გამოცდილება და ფინანსური შესაძლებლობა მასალების გამოყენებასთან დაკავშირებით. შედეგად, გადაცემული სამშენებლო მასალის ნახევარზე მეტი გამოუყენებელია. კერძოდ, მუნიციპალიტეტის მიერ მოწოდებული ინფორმაციითა და პასუხისმგებელი პირების განმარტებით, არ არის გამოყენებული 130.0 ათასი ლარის ღირებულების სამშენებლო მასალა, რომელიც დასაწყობებულია 145 მოსახლესთან.²⁰

დასკვნა

მუნიციპალიტეტმა მოსახლეობის დასახმარებლად და სტიქიის შედეგად მიყენებული ზარალის აღმოსაფხვრელად ვერ შეარჩია სამუშაოების შესრულების სათანადო ფორმა. შედეგად, 130.0 ათასი ლარი დახარჯულია არაეფექტიანად და სრულად არ არის მიღწეული პროექტებით გათვალისწინებული მიზნები.

2.2.4 საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის ნაკლოვანებები

კრიტერიუმი: შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლების მიერ სატენდერო მოთხოვნებისა და ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე.²¹ მუნიციპალიტეტის მიერ გაფორმებული ხელშეკრულებები, მათ შორის, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვაზე, ითვალისწინებს

¹⁸ „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 6, პუნქტი 1, ქვეპუნქტი „დ“.

¹⁹ 12 182 ცალი - „შიფერი“, 5 272 გრმ.მ - ხის მასალა, 650 კვ.მ და 683 ცალი - თუნუქის ფურცელი და სხვა მასალები.

²⁰ 6 377 ცალი „შიფერი“, თანხით - 110.6 ათასი ლარი; 534 ცალი თუნუქის ფურცელი, თანხით - 11.2 ათასი ლარი; 3 394 გრ.მ ხის მასალა, თანხით - 7.6 ათასი ლარი; 82 კვ.მ თუნუქის ფურცელი, თანხით - 0.6 ათასი ლარი.

²¹ საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“, მუხლი 7.

ხარისხიანი პროდუქტის მიწოდებას, ხოლო ხელშეკრულების არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, მიყენებული ზიანის ანაზღაურებას.²²

ფაქტობრივი გარემოება: 2019-2020 წლებში სენაკის მუნიციპალიტეტმა შეისყიდა 414.1 ათასი ლარის ღირებულების 165 ობიექტის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია.²³

აუდიტის ჯგუფმა შეისწავლა აღნიშნული პროექტებით შესრულებული სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები. გამოვლინდა, რომ შესყიდული დოკუმენტაციის ნაწილი შეიცავდა ისეთ ხარვეზებს, რომელთა აღმოჩენაც მუნიციპალიტეტის შესაბამის სამსახურს შეეძლო მიღება-ჩაბარების პროცესში. შედეგად, ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებისას ხელშეკრულებებში ცვლილებები შედიოდა სისტემატურად.²⁴ კერძოდ, პროექტებში არსებული ხარვეზების გამო, იცვლებოდა სამუშაოების მოცულობები ან/და ემატებოდა ახალი სამუშაოები. აღნიშნული ხშირ შემთხვევაში იწვევდა როგორც სახელშეკრულებო თანხების ცვლილებას,²⁵ ასევე სამუშაოების დასრულების ვადების გაზრდას.²⁶ მაგალითად:

1) 2019 წელს მუნიციპალიტეტმა სს „არქეოპოლისთან“ გააფორმა ხელშეკრულება გზის სხვადასხვა სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოს შესასრულებლად,²⁷ ღირებულებით – 1,464.1 ათასი ლარი. სამუშაოების დასრულებამდე ხელშეკრულებაში 10-ჯერ შევიდა ცვლილება. ხარჯთაღრიცხვის კორექტირების გამო, რამდენჯერმე შეიცვალა სახელშეკრულებო ღირებულება (დაემატა 10.7 ათასი ლარის ღირებულების ახალი სამუშაოები),²⁸ ასევე 73 დღით გადაიწია სამუშაოების დასრულების ვადა.

ზოგიერთ შემთხვევაში საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციაში შესულია ისეთი ცვლილებები, რომლებიც პროექტის ავტორს მარტივად უნდა განესაზღვრა დოკუმენტაციის შედგენის ეტაპზე ან მუნიციპალიტეტს აღმოეჩინა მიღება-ჩაბარების დროს, მაგალითად:

1) 2019 წელს მუნიციპალიტეტმა შეისყიდა 11 საჯარო სკოლისა და 4 სოფლის ამბულატორიის სარეაბილიტაციო სამუშაოებისთვის საჭირო საპროექტო დოკუმენტაცია.²⁹ შესწავლით დგინდება, რომ ინფრასტრუქტურული პროექტის განხორციელების პროცესში³⁰ საჭირო გახდა ხარჯთაღრიცხვის კორექტირება შემდეგი მოტივით: სოფელ ნოსირის ამბულატორიის შენობის რეაბილიტაციის პროექტში არ იყო გათვალისწინებული რკინაბეტონის

²² NAT190004028; NAT190006296; NAT190013493; NAT200000912; NAT200001336; NAT200008357 და სხვ.

²³ მათ შორის: 2019 წელს შეძენილია 68 პროექტი, თანხით – 193.1 ათასი ლარი, ობიექტების საპროექტო ღირებულება შეადგენს 6,326.0 ათას ლარს; 2020 წელს შეძენილია 87 პროექტი, თანხით – 221.0 ათასი ლარი, ობიექტების საპროექტო ღირებულება შეადგენს 11,754.6 ათას ლარს. შესყიდვები არ შეიცავს 2021 წლისთვის შეძენილ საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციას – NAT200018074.

²⁴ ორი და მეტი ცვლილება შესულია 65 ხელშეკრულებაში (ერთი ცვლილება ძირითადად შესულია გაუთვალისწინებული ხარჯების გაშიფვრის მიზნით).

²⁵ 10 ხელშეკრულების ღირებულება გაზრდილია, ჯამში – 148.6 ათასი ლარით.

²⁶ მიწოდების ვადები გაზრდილია 32 ხელშეკრულებაში. მინიმალური ზრდა – 7, ხოლო მაქსიმალური ზრდა – 166 დღეა.

²⁷ NAT190002860.

²⁸ კერძოდ, ძვ. სენაკის ადმ. ერთეულის სოფ. კოტიანეთის სასაფლაოზე მისასვლელ გზაზე საჭირო გახდა დამატებითი სამუშაოების ჩატარება, როგორცაა, 215 კვ.მ ფართობის ასფალტბეტონის საფარის მოწყობა, ასევე ძვ. სენაკის ადმ. ერთეულის სოფ. კოტიანეთის საავტომობილო გზაზე ასფალტირების სამუშაოებზე არსებული ხიდის მისასვლელთან საშიშროება იყო, შეიძლება ჩამოშლილიყო მოწყობილი გრუნტი; შესაბამისად, საჭირო გახდა დამატებითი რკინაბეტონის შესყიდვა გამაგრებისთვის.

²⁹ CMR190090458, ხელშეკრულება №121, მიმწოდებელი – შპს „საუკი“, დოკუმენტაციის შედგენის ღირებულება – 17.2 ათასი ლარი, ობიექტების საპროექტო ღირებულება – 7,399.2 ათასი ლარი.

³⁰ CMR190119852.

ფილებისა და ელექტროსამონტაჟო სამუშაოები; სოფელ ზანის ამბულატორიის შენობის რეაბილიტაციის პროექტში არ იყო გათვალისწინებული წყალგაყვანილობის და ელექტროსამონტაჟო სამუშაოები; ოთხივე ამბულატორიის შენობის რეაბილიტაციის პროექტში არასწორად იყო დათვლილი სახურავის, კარ-ფანჯრების, რკინაბეტონის კიბის, მოსაპირკეთებელი ფართის, სანტექნიკური და სხვა სამუშაოების მოცულობები.

დასკვნა

მუნიციპალიტეტმა არ დააწესა სათანადო კონტროლი მიმწოდებლის მიერ ხარისხიანი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მიწოდებაზე. მის მიერ დანერგილი კონტროლის პროცედურები, ზოგიერთ შემთხვევაში, ვერ უზრუნველყოფდა სათანადო რწმუნების მიღებას შეძენილი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მოქმედ სტანდარტებთან და ნორმებთან შესაბამისობაზე. მნიშვნელოვანი ხარვეზებით ჩაბარებული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია გავლენას ახდენდა მიწოდების ვადებსა და სახელშეკრულებო ღირებულებაზე და აუარესებდა შემსყიდველის პირობებს. მიუხედავად ამისა, მუნიციპალიტეტს რაიმე სახის ღონისძიება საპროექტო დოკუმენტაციის მიმწოდებლების მიმართ არ გაუტარებია.

რეკომენდაცია №4

მერიამ განსაზღვროს კონტროლის დამატებითი მექანიზმები, რაც ხელს შეუწყობს ხარისხიანი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შეძენას; აღნიშნული უზრუნველყოფს ფაქტობრივად შესასრულებელი სამუშაოებისა და რეალური ვადების განსაზღვრას და გააუმჯობესებს საბიუჯეტო ასიგნებების გეგმურ და თანაბარ ხარჯვას.

2.2.5 ხელშეკრულებების ადმინისტრირების ხარვეზები

2.2.5.1 მიწოდების ვადების დაუსაბუთებელი ზრდა

კრიტერიუმი: სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობის შესაბამისად, შესყიდვის მხარეებს შორის გაფორმებული ხელშეკრულება უნდა შეიცავდეს საქონლის მიწოდების, მომსახურების გაწევის ან/და სამუშაოს შესრულების ვადას.³¹ სატენდერო დოკუმენტაციასა და ხელშეკრულებაში ასახული პირობების შესრულება სავალდებულოა შესყიდვებში მონაწილე პირებისთვის. ხელშეკრულების პირობები შეიძლება შეიცვალოს და სამუშაოს დასრულების ვადა გადაიწიოს მხოლოდ წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო. ამასთანავე, დაუშვებელია ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება შემსყიდველი ორგანიზაციის პირობების გაუარესება, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.³²

ფაქტობრივი გარემოება: 2019 წელს სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისას მუნიციპალიტეტმა 15 შემთხვევაში³³ მიმწოდებლებს სამუშაოების შესრულების ვადა გადაუწია ცუდი კლიმატური პირობების მოტივით.³⁴ ვადის გადაწევის მოთხოვნას საფუძვლად უდევს გარემოს ეროვნული სააგენტოდან წარმოდგენილი ცნობა ნალექიანი დღეების რაოდენობის შესახებ. ხელშეკრულებების შესრულების დოკუმენტაციის

³¹ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანება „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“, მუხლი 33, პუნქტი 5.

³² საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“, მუხლი 21, პუნქტი 5.

³³ CMR190104445; CMR190104463; CMR190108064; CMR190110501; CMR190133561; CMR190133564; CMR180205206; CMR180209539; NAT190000465; NAT190000548; NAT190003702; NAT190008408; NAT190009929; NAT190011960; NAT190018212. ხელშეკრულებების ჯამური ღირებულება - 1,842.4 ათასი ლარი.

³⁴ 2020 წელს მიწოდების ვადები უამინდობის მოტივით აღარ გადაწეულა. აღნიშნულ პერიოდში ვადების გადაწევა, ძირითადად, დასაბუთებულია პანდემიის მოტივით.

შესწავლით დგინდება, რომ მიწოდების ვადების ზრდა სათანადოდ არ არის არგუმენტირებული, კერძოდ:

საპროექტო ორგანიზაციის მიერ სამუშაოების შესასრულებლად დადგენილი ვადა, როგორც წესი, ითვალისწინებს ნაღებიან დღეებსაც. მუნიციპალიტეტი შესყიდვის პროცედურას ატარებს აღნიშნული პრინციპის გათვალისწინებით, რომელსაც ეთანხმება პრეტენდენტიც. გარდა ამისა, სამშენებლო სამუშაოების მიმწოდებლების მიერ წარმოდგენილი ცნობები შეიცავს მონაცემებს კონკრეტულ პერიოდში ნაღებიანი დღეების რაოდენობის შესახებ და არ მიუთითებს, რომ ეს მონაცემები აღემატება რეგიონის საშუალო მაჩვენებელს და ფორსმაჟორულია. ამასთანავე, ფარული სამუშაოების აქტების მიხედვით, მიმწოდებლები სამუშაოებს ასრულებდნენ ნაღებიან დღეებშიც. შესაბამისად, უამინდობის მიზეზით ვადის გადაწევის მოთხოვნა ატარებდა ფორმალურ ხასიათს და სამუშაოების დასრულების ვადები, ძირითადად, გაზრდილია დაუსაბუთებლად. იმ შემთხვევაში, თუკი მერია არ გაზრდიდა სამუშაოების დასრულების ვადებს, მიმწოდებლებს დაეკისრებოდა მინიმუმ 40.9 ათასი ლარის საჯარიმო სანქცია. (იხ. დანართი №3)

დასკვნა

მუნიციპალიტეტი სათანადოდ არ აკონტროლებდა ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების დაცულობას და არ ატარებდა საკმარის ღონისძიებებს სამუშაოების დროულად დასასრულებლად. სამუშაოების დასრულების ვადები, ზოგიერთ შემთხვევაში გაზრდილია დაუსაბუთებლად, სათანადო არგუმენტაციის წარმოდგენის გარეშე, რითაც შემსყიდველი ორგანიზაციისათვის გაუარესებულია ხელშეკრულების პირობები. ამასთანავე, მუნიციპალიტეტმა დაკარგა დამატებითი საბიუჯეტო შემოსავლების მიღების შესაძლებლობა.

2.2.5.2 სამუშაოების შესრულების გეგმა-გრაფიკების დაუცველობა

კრიტერიუმი: ინფრასტრუქტურული ობიექტების მშენებლობის/რეაბილიტაციის შესყიდვის მიზნით, მუნიციპალიტეტის მიერ გაფორმებული ხელშეკრულებები ითვალისწინებს სამუშაოების მიწოდებას კალენდარული და თანხობრივი გეგმა-გრაფიკების შესაბამისად. გეგმა-გრაფიკის შედგენის მიზანია, რომ შემსყიდველმა ადრეულ პერიოდში გამოავლინოს სამუშაოების შეფერხების ფაქტორები და ჯარიმის გავრცელებით ზემოქმედება მოახდინოს მიმწოდებელზე, სამუშაოების დროულად დასასრულებლად.

ფაქტობრივი გარემოება: ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების მიზნით 2019-2020 წლებში გაფორმებული 108 ხელშეკრულებიდან,³⁵ სამუშაოების გეგმა-გრაფიკის მიხედვით წარმოება გათვალისწინებული იყო ყველა ობიექტისათვის. აღნიშნული ხელშეკრულებებიდან 9 შემთხვევაში, საერთო ღირებულებით – 886.0 ათასი ლარი, მიმწოდებლებმა ვერ უზრუნველყვეს სამუშაოების დაგეგმილ ვადებში დასრულება.³⁶ აღნიშნული ხელშეკრულებებისათვის დარღვეულია გეგმა-გრაფიკით გათვალისწინებული მოთხოვნებიც. მიუხედავად ამისა, მუნიციპალიტეტს არ გამოუყენებია გეგმა-გრაფიკის დაცულობის მექანიზმი, სამუშაოების მიმდინარეობის

³⁵ 10 ათასი ლარის და მეტი ღირებულების პროექტები: 88 ელექტრონული ტენდერი და 20 გამარტივებული შესყიდვა.

³⁶ მათ შორის, 6 ხელშეკრულებისათვის საბოლოო მიწოდების ვადის 7-დან 49 დღემდე გადაწევის შემთხვევაშიც.

დასკვნა

კონტროლის მიზნით. საჯარიმო სანქციების გამოყენების შემთხვევაში, მუნიციპალიტეტი მიიღებდა 457.0 ათას ლარზე მეტ შემოსავალს.³⁷

რეკომენდაცია №5

სამუშაოების მიწოდების გეგმა-გრაფიკის მოთხოვნა და გეგმა-გრაფიკით განსაზღვრული პირობების დაცვა მუნიციპალიტეტისათვის ატარებდა ფორმალურ ხასიათს, რაც გავლენას ახდენდა სამუშაოების დროულად დასრულებაზე და ვერ უზრუნველყოფდა ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის პრევენციას. აუდიტის ობიექტს გეგმა-გრაფიკის დარღვევისათვის არ დაუჯარიმებია არც ერთი მიმწოდებელი და მუნიციპალურ ბიუჯეტში არ მიმართულა შესაბამისი ფინანსური რესურსი.

მერამ ხელშეკრულების პირობების განსაზღვრისას გამოიყენოს საჯარიმო სანქციების ისეთი მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს, შესყიდვის ობიექტების მიწოდების დაგვიანების თავიდან აცილებას. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადების ცვლილება არ განახორციელოს დაუსაბუთებელი გარემოებებით და გაითვალისწინოს მხოლოდ ობიექტური, ფორსმაჟორული საფუძვლები. ყველა დანარჩენ შემთხვევაში, ვადებისა და სხვა პირობების დარღვევისათვის გაავრცელოს ხელშეკრულებით განსაზღვრული საჯარიმო სანქციები. აღნიშნული ხელს შეუწყობს სამუშაოების დროულ დასრულებას, საბიუჯეტო შემოსავლების გაზრდას და მიმწოდებლების მიმართ ერთგვაროვანი მიდგომის ჩამოყალიბებას.

2.3 მოსახლეობის წყალმომარაგება

კრიტერიუმი: მუნიციპალიტეტის საკუთარი უფლებამოსილებებია: წყალმომარაგების (მათ შორის, ტექნიკური წყლით მომარაგების) და წყალარინების უზრუნველყოფა. მუნიციპალიტეტი მომსახურებას უზრუნველყოფს შესაბამისი ლიცენზიანტი კერძო სამართლის სუბიექტების საშუალებით.³⁸ კანონმდებლობის მიხედვით, სასმელი წყალი უნდა იყოს უსაფრთხო, უვნებელი და აკმაყოფილებდეს ქვეყანაში მოქმედ სტანდარტებს. სასმელი წყლის მიმწოდებელი ორგანიზაცია ვალდებულია აწარმოოს წყლის ტექნიკური რეგლამენტით დადგენილ მაჩვენებლებთან შესაბამისობის კონტროლი და მონიტორინგი.³⁹

ფაქტობრივი გარემოება: მუნიციპალიტეტის 15 დასახლებული პუნქტიდან, ქ. სენაკისა და 4 თემის მოსახლეობის⁴⁰ წყლის მიწოდებას უზრუნველყოფს საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია. დანარჩენი 10 თემის მოსახლეობის წყალმომარაგება ფუნქციურად არ ევალება მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ არც ერთ სუბიექტს.

2018 წელს მუნიციპალიტეტის მიერ მიღებული პრიორიტეტების დოკუმენტები არ ითვალისწინებს სასმელი წყლის სისტემების დაფინანსებას. შესაბამისად, მოსახლეობის წყალმომარაგების პრობლემების მოგვარება მუნიციპალიტეტის მიერ პრიორიტეტად არ არის მიჩნეული. ამ მიმართულებით თანხების

³⁷ 1) NAT190000464, №56, ველოდი სანაია - 186.2 ათასი ლარი. 2) NAT190000465, №36, ველოდი სანაია - 58.6 ათასი ლარი. 3) NAT190000548, №35, შპს „ოსო“ - 16.0 ათასი ლარი. 4) NAT190009425, №159, შპს „ჯი ბი ჯი“ - 47.3 ათასი ლარი. 5) NAT200002375, №57, ველოდი სანაია - 60.8 ათასი ლარი. 6) NAT200006467, №87, ველოდი სანაია - 29.1 ათასი ლარი. 7) NAT200008332, №134, შპს „სტილ შენი“ - 4.3 ათასი ლარი. 8) NAT200012640, №183, ველოდი სანაია - 38.5 ათასი ლარი. 9) NAT200013250, №192, შპს „ლელო“ - 16.2 ათასი ლარი.

³⁸ „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, მუხლი 16, პუნქტი 2, „თ“ ქვეპუნქტი; მუხლი 163, პუნქტი 1.

³⁹ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №58 დადგენილება „სასმელი წყლის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“, მუხლი 2.

⁴⁰ ქ. სენაკისა და თეკლათის მოსახლეობა წყლით მარაგდება სრულად, ხოლო სოფლების: მენჯის, ახალსოფლის და ნოსირის მოსახლეობა – ნაწილობრივ.

გამოყოფას პრიორიტეტის დოკუმენტი არც 2021-2022 წლების სამოქმედო პერიოდისათვის ითვალისწინებს.

2019-2020 წლებში ადგილობრივი ბიუჯეტიდან სოფლების მოსახლეობის წყალმომარაგების უზრუნველყოფის მიზნით სულ გაწეულია მხოლოდ 365.5 ათასი ლარის ხარჯი. აქედან, თანხის ნაწილი – 56.9 ათასი ლარი დახარჯა „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში მოსახლეობის მიერ შერჩეულ პროექტებზე (წყალსადენი ქსელის რეაბილიტაცია).⁴¹ შედეგად, წყლის სისტემების მოწყობა-რეაბილიტაციის მიზნით განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტები არასაკმარისია და ვერ უზრუნველყოფს სასმელ წყალზე მოსახლეობის უმეტესი ნაწილის ყოველდღიური მოთხოვნილების დაკმაყოფილებას. კერძოდ, მუნიციპალიტეტის 62 სოფელში მცხოვრები 7 820 ოჯახიდან: 2 397 ოჯახს წყალი მიეწოდება მუდმივად; 5 423 ოჯახს წყალი ცენტრალიზებულად არ მიეწოდება და სარგებლობს ჭებითა და წყაროებით, რომელთა უმრავლესობა ზაფხულის პერიოდში განიცდის წყლის დეფიციტს.

აღსანიშნავია, რომ მუნიციპალიტეტი არ აწარმოებს სასმელი წყლის ლაბორატორიულ კვლევას. ჭები და სათავე ნაგებობები, საიდანაც მოსახლეობას წყალი მიეწოდება, არ არის აღჭურვილი წყლის გაწმენდის (დაქლორვის) საშუალებებით. პასუხისმგებელი პირების განმარტებით, სოფლის მოსახლეობაზე მიწოდებული წყლის ხარისხი არ მოწმდება.

დასკვნა

მუნიციპალიტეტში არსებობს მოსახლეობის წყალმომარაგების მნიშვნელოვანი პრობლემები: მოსახლეობის უმეტეს ნაწილს სასმელი წყალი არ მიეწოდება ან მიეწოდება შეფერხებით; მიწოდებული წყალი არ იწმინდება და მისი ხარისხი არ მოწმდება. პრობლემის მოსაგვარებლად ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხები არ არის საკმარისი. მიუხედავად იმისა, რომ პრობლემა სისტემურ ხასიათს ატარებს, მუნიციპალიტეტის მიერ აღნიშნული საკითხი არ არის მიჩნეული პრიორიტეტად და პასუხისმგებელ პირებს საკითხის მოსაგვარებლად ქმედითი ღონისძიება არ გაუტარებიათ.

რეკომენდაცია №6

მერია, საკრებულოსთან შეთანხმებით დაგეგმოს და განახორციელოს კომპლექსური ღონისძიებები, რომლებიც გონივრულ ვადაში უზრუნველყოფს წყალმომარაგების მოწესრიგებას და წყლის ხარისხის შემოწმებას. ამასთანავე, ღონისძიებათა გეგმა უნდა ითვალისწინებდეს როგორც წყლის, ასევე საბიუჯეტო რესურსების რაციონალურ ხარჯვას. აღნიშნული ხელს შეუწყობს მოსახლეობის სოციალური პირობების გაუმჯობესებას და წყლის სისტემის გამართულ ფუნქციონირებას.

2.4 არასათანადოდ დასაბუთებული დისკვალიფიკაცია

კრიტერიუმი: სახელმწიფო შესყიდვების მიზანია ფულადი სახსრების რაციონალური ხარჯვის პრინციპის დაცვა.⁴²

მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, სატენდერო კომისია მიმწოდებლების შერჩევა-შეფასების პროცესში მსჯელობს, რამდენად შეესაბამება პრეტენდენტების მიერ სისტემაში განთავსებული დაზუსტებული ტექნიკური დოკუმენტაცია სატენდერო მოთხოვნებს.⁴³ თუ ტექნიკური დოკუმენტაცია

⁴¹ სამუშაოები შესრულდა: სოფელ ეკში - 31.5 ათასი ლარი, სოფელ უშაბათში - 19.4 ათასი ლარი, სოფელ ახალსოფელში - 6.0 ათასი ლარი.

⁴² საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“, მუხლი 2.

⁴³ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანება „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“, მუხლები: 4 და 27.

საჭიროებს დაზუსტებას, სატენდერო კომისია ვალდებულია, ზუსტად მიუთითოს პრეტენდენტს დასაზუსტებელი პოზიციის/ნაწილის შესახებ.⁴⁴

ფაქტობრივი გარემოება: 2018-2019 წლებში მუნიციპალიტეტმა 2 ხელშეკრულების ფარგლებში⁴⁵ დააფინანსა ქალაქის ქუჩებისა და სოფლის გზების ასფალტის საფარით მოწყობის სამუშაოები. ორივე შემთხვევაში, ინფრასტრუქტურული პროექტების შესყიდვის პროცესი, მუნიციპალიტეტმა წარმართა იმგვარად, რომ ტენდერში გამარჯვება მაღალი ფასის წარმომდგენ პრეტენდენტს – სს „არქეოპოლისს“. შედეგად მუნიციპალიტეტმა, სავარაუდოდ, 339.7 ათასი ლარი დახარჯა არაეკონომიურად. აღნიშნული დასტურდება შემდეგი გარემოებებით:

1) სოფლის გზების ასფალტირებისთვის გამოცხადებულ ტენდერში,⁴⁶ ღირებულებით – 1,679.6 ათასი ლარი, მონაწილეობდა ორი პრეტენდენტი: შპს „ინდიკო“⁴⁷ და სს „არქეოპოლისი“. დაბალი ფასი – 1,343.7 ათასი ლარი, დააფიქსირა შპს „ინდიკომ“, რომელსაც სამუშაოების შესრულების გამოცდილების დასადასტურებლად, სხვა დოკუმენტაციასთან ერთად, ატვირთული ჰქონდა ცნობა „ერთობლივი საწარმო სს „არქეოპოლისისა“ და შპს „ინდიკოს“ მიერ შესრულებული სამუშაოების შესახებ. ტექნიკური დოკუმენტაციის შეფასების პროცესში სს „არქეოპოლისმა“ წერილობით⁴⁸ შეატყობინა მერიას, რომ შპს „ინდიკოს“ მიერ გამოცდილების დასადასტურებლად წარდგენილი ზემოაღნიშნული დოკუმენტი იყო ყალბი. კერძოდ, ცნობაზე სს „არქეოპოლისის“ დირექტორს ხელი არ მოუწერია და ბეჭედი არ დაუსვამს.⁴⁹ სატენდერო კომისიამ იმსჯელა სს „არქეოპოლისის“ წერილსა და დაბალ ფასიანი პრეტენდენტის დაზუსტებული დოკუმენტაციის მართებულობაზე და შპს „ინდიკოს“ მიანიჭა დისკვალიფიკაცია. დისკვალიფიკაციის ძირითად მოტივად მითითებულია პრეტენდენტის მიერ ხელშეკრულების გაფორმების უფლების მოპოვების მიზნით არაკეთილსინდისიერი ქმედების ჩადენა და ყალბი ცნობის წარდგენა.⁵⁰

შპს „ინდიკოს“ ცნობა და სს „არქეოპოლისის“ წერილი თანაბარი მნიშვნელობის დოკუმენტებია. მიუხედავად ამისა, სატენდერო კომისიამ საკუთარი შეხედულებით, ცალსახად დაადგინა, რომ შპს „ინდიკოს“ ცნობა იყო ყალბი და დისკვალიფიკაცია მიანიჭა.

შპს „ინდიკომ“ სატენდერო კომისიის გადაწყვეტილება გაასაჩივრა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს დავების საბჭოში. საბჭომ აღნიშნა,⁵¹ რომ ცნობის სიყალბის დადგენა მუნიციპალიტეტის პერეროგატივა არ იყო და მიუთითა კომისიას მიღებული გადაწყვეტილების გადასინჯვისა და ტექნიკური დოკუმენტაციის შერჩევა-შეფასების ხელახალი

⁴⁴ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანება „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“, მუხლი 27, პუნქტი 5.

⁴⁵ 2018 წლის ხელშეკრულებები: №190 და №223.

⁴⁶ NAT180011633.

⁴⁷ შესყიდვების მომენტისათვის შპს „ინდიკო“ რეგისტრირებული იყოს მიმწოდებელთა თეთრ სიაში.

⁴⁸ 2018 წლის 30 აგვისტოს №110/01 წერილი.

⁴⁹ მუნიციპალიტეტმა სს „არქეოპოლისის“ წერილი შემდგომი რეაგირებისათვის 2018 წლის 7 სექტემბერს გადაუგზავნა სამართალდამცავ ორგანოს (წერილი №01/3671).

⁵⁰ ოქმში ასევე საუბარია, რომ დაზუსტებული ხარჯთაღრიცხვა შეიცავდა ხარვეზებს და ინფორმაცია პრეტენდენტის პერსონალის გამოცდილების შესახებ არ აკმაყოფილებდა მოთხოვნილ პირობებს.

⁵¹ Decision_DIS180011633_01(NAT).pdf.

განხორციელების შესახებ. საბჭოს მითითების შემდეგ, კომისიამ იმსჯელა დაბალფასიანი პრეტენდენტის მიერ წარდგენილ დაზუსტებულ დოკუმენტაციაზე და შპს „ინდიკოს“ დისკვალიფიკაცია მიანიჭა ამჯერად ტექნიკური დოკუმენტაციის სატენდერო პირობებთან შესაბამისობის გამო.

სატენდერო დოკუმენტაციის შესწავლით გამოვლინდა, რომ შერჩევა-შეფასების პროცესში სატენდერო კომისიამ პრეტენდენტის ტექნიკური პერსონალის გამოცდილების დადასტურება მოითხოვა სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებულისაგან განსხვავებული ფორმით.⁵² რაც შეეხება ტექნიკური ხასიათის სხვა ხარვეზებს, შპს „ინდიკოს“ არაარსებითი შეუსაბამოები დაშვებული ჰქონდა დოკუმენტაციის დაზუსტებამდე, თავდაპირველად ატვირთულ ხარჯთაღრიცხვებშიც. შესაბამისად, კომისია ვალდებული იყო, მაგრამ პრეტენდენტს ზუსტად არ მიუთითა დასაზუსტებელი პოზიციების შესახებ. ამდენად, კომისიის გადაწყვეტილება არ იყო განპირობებული სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელი კანონმდებლობის მოთხოვნებით.

დაბალფასიანი პრეტენდენტის დისკვალიფიკაციის შემდეგ კომისიამ გააგრძელა დოკუმენტაციის შერჩევა-შეფასების პროცესი და ხელშეკრულება გაფორმდა სს „არქეოპოლისთან“, ღირებულებით – 1,646.0 ათასი ლარი, რაც 302.3 ათასი ლარით აღემატებოდა დისკვალიფიცირებული პრეტენდენტის შემოთავაზებულ ფასს.

-) მუნიციპალიტეტმა ქალაქის გზების ასფალტის საფარის მოწყობის მიზნით გამოაცხადა ტენდერი,⁵³ სავარაუდო ღირებულებით – 1,243.4 ათასი ლარი. დოკუმენტაციის მიხედვით, მიმწოდებელს უნდა ჰქონოდა 16,785.4 ათასი ლარის ღირებულების ანალოგიური სამუშაოების შესრულების გამოცდილება.⁵⁴ მიწოდების ვადად განისაზღვრა 60 კალენდარული დღე. შესყიდვაში მონაწილეობა მიიღო ორმა პრეტენდენტმა – შპს „ინდიკომ“ და სს „არქეოპოლისმა“, მათ შორის დაბალი ფასი – 1,206.0 ათასი ლარი, დააფიქსირა შპს „ინდიკომ“.

სატენდერო კომისიამ განიხილა დაბალფასიანი პრეტენდენტის მიერ წარდგენილი დოკუმენტაცია და მიანიჭა დისკვალიფიკაცია იმ მოტივით, რომ შპს „ინდიკოს“ მიერ შესრულებული ანალოგიური სამუშაოების ღირებულება შეადგენდა მხოლოდ 14,960.9 ათას ლარს. პრეტენდენტმა ტენდერის შედეგები გაასაჩივრა დავების საბჭოში. საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე,⁵⁵ სატენდერო კომისიამ თავიდან განიხილა შპს „ინდიკოს“ წარდგენილი დოკუმენტაცია და ამჯერად პრეტენდენტს ჩაუთვალა 16,368.8 ლარის ანალოგიური სამუშაოების შესრულების გამოცდილება. აღნიშნული ასევე არ შეესაბამებოდა სატენდერო მოთხოვნებს და შპს „ინდიკოს“ ისევ მიენიჭა დისკვალიფიკაცია.

⁵² სატენდერო დოკუმენტაციის მიხედვით, 5-წლიანი გამოცდილების დასადასტურებლად ერთიან ელექტრონულ სისტემაში უნდა ატვირთულიყო სპეციალისტების პირადობის დამადასტურებელი მოწმობები და საინჟინრო განათლების დამადასტურებელი დიპლომების ასლები, ასევე აღნიშნულ პირებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებების ასლები, რომელიც ადასტურებდა მიმწოდებელთან მათი მუშაობის ფაქტს. შერჩევა-შეფასების ეტაპზე კომისიამ მოითხოვა საქმიანობის ხანგრძლივობის/წლების, დაკავებული თანამდებობისა და დამსაქმებელი ორგანიზაციის ჩვენება.

⁵³ NAT180011636.

⁵⁴ სატენდერო დოკუმენტაციის თანახმად, ანალოგიურ სამუშაოებად განიხილებოდა ასფალტბეტონის საფარის მოწყობის სამუშაოები.

⁵⁵ Decision_DIS180011636_01(NAT).

პრეტენდენტმა სატენდერო კომისიის ახალი გადაწყვეტილება დავების საბჭოში კვლავ გაასაჩივრა. საბჭომ ისევ მოუწოდა კომისიას კიდევ ერთხელ დაეთვალია შპს „ინდიკოს“ გამოცდილება და ამავე დროს ეხელმძღვანელა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს რეკომენდაციით შესყიდვის ობიექტის ანალოგიური სამუშაოების გამოცდილების მოთხოვნასთან დაკავშირებით.⁵⁶

მუნიციპალიტეტმა, დავების საბჭოს მითითების გათვალისწინების ნაცვლად, შეწყვიტა აღნიშნული ტენდერი და გამოაცხადა შეცვლილი პირობებით.⁵⁷ კერძოდ, ახალი ტენდერის მიხედვით, სამუშაოების შესრულების ვადა შემცირდა 25 დღემდე, ხოლო ანალოგიური სამუშაოების შესრულების მოცულობა 40,446.4 ათას ლარამდე გაიზარდა.

მუნიციპალიტეტის პასუხისმგებელი პირის განმარტებით, ტენდერის შეწყვეტა და მიწოდების ვადის შემცირება განპირობებული იყო სამუშაოების შემჭიდროებულ ვადებში დასრულების აუცილებლობით. აუდიტის ჯგუფი ვერ გაიზიარებს აღნიშნულ არგუმენტს, რამდენადაც კომისიას არ ჰქონდა გარანტია, რომ განმეორებითი ტენდერი დასრულდებოდა დადებითი შედეგით და მინიმალურ ვადებში. ამასთანავე, კომისიამ ტენდერი შეწყვიტა 2018 წლის 19 ოქტომბერს. ხელშეკრულების რომელიმე პრეტენდენტთან გაფორმების შემთხვევაში, გაფორმების მინიმალური პერიოდისა და მიწოდების 60 დღის გათვალისწინებით, სამუშაოები დასრულდებოდა 22 დეკემბერს. განმეორებითი ტენდერის საფუძველზე⁵⁸ ხელშეკრულება გაფორმდა 22 ნოემბერს და სამუშაოები უნდა დასრულებულიყო 17 დეკემბერს, რაც მნიშვნელოვნად არ განსხვავდება წინა პერიოდისაგან.⁵⁹

მუნიციპალიტეტის მიერ შეცვლილი პირობებით გამოცხადებული ტენდერი წარიმართა უკონკურენტო გარემოში, მხოლოდ სს „არქეოპოლისის“ მონაწილეობით. ამ შემთხვევაში სატენდერო კომისიისათვის ცნობილი უნდა ყოფილიყო, რომ შპს „ინდიკოს“ ვერ დააკმაყოფილებდა ანალოგიური სამუშაოების შესრულების გამოცდილებას და ტენდერში მონაწილეობას ვერ მიიღებდა. შედეგად, სს „არქეოპოლისთან“ გაფორმებული ხელშეკრულების ღირებულება – 1,243.4 ათასი ლარი, 37.4 ათასი ლარით აღემატება შეწყვეტილ ტენდერზე შპს „ინდიკოს“ მიერ შეთავაზებულ ფასს.

დასკვნა

მუნიციპალიტეტის სატენდერო კომისია საგზაო სამუშაოების შესყიდვების პროცესში მოქმედებდა შესყიდვების კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნების შეუსაბამოდ, არაობიექტურად და არ იცავდა საბიუჯეტო სახსრების რაციონალური ხარჯვის ვალდებულებას, რის გამოც დაკარგა ჯამში 339.7 ათასი ლარის ეკონომიის მიღების შესაძლებლობა.

⁵⁶ Decision_DIS180011636_02(NAT). რეკომენდაცია გულისხმობს: ანალოგიური სამუშაოების გამოცდილების მოთხოვნა იყოს ობიექტური, თვალადასტურებული და პროპორციული, რაც ნიშნავს პირობის დაწესებას გააზრებულად და არა შაბლონურად, იმის გათვალისწინებით, რომ იგი კონკურენციას უსაფუძვლოდ არ უნდა ზღუდავდეს.

⁵⁷ NAT180016907.

⁵⁸ აღსანიშნავია, რომ კომისიამ განმეორებითი ტენდერი გამოაცხადა 25 ოქტომბერს, წინა ტენდერის შეწყვეტიდან მე-7 დღეს, რაც არ შეესაბამება სამუშაოების შემჭიდროებულ ვადებში შესრულების პირობას.

⁵⁹ აღსანიშნავია, რომ სს „არქეოპოლისმა“ ვერ შეძლო სამუშაოების ხელშეკრულებით განსაზღვრულ დროში დასრულება და მუნიციპალიტეტმა მიწოდების ვადა, 5 დღით, 21 დეკემბრამდე გაზარდა; სამუშაოები დასრულდა დროულად, ვადაში.

2.5 ავტოპარკის მართვა

კრიტერიუმი: 2019 წელს მუნიციპალიტეტმა საკრებულოს დადგენილებით⁶⁰ შეიმუშავა სამსახურებრივი უფლებამოსილების განსახორციელებლად საჭირო ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციისა და შესყიდვის წესი, რომლის მიხედვით მუნიციპალიტეტის სამორიგეო ავტომობილების ოდენობა განისაზღვრა 6 ერთეულით.⁶¹

ფაქტობრივი გარემოება: სამსახურებრივი უფლებამოსილების განსახორციელებლად, მუნიციპალიტეტი 2019-2020 წლებში სარგებლობდა ბალანსზე რიცხული 6 და კერძო საკუთრებაში არსებული, შესაბამისად, 63 და 68 ავტომანქანით. ამდენად, მუნიციპალიტეტმა არ დაიცვა მის მიერვე შემუშავებული წესი და გამოყენებული სატრანსპორტო საშუალებების რაოდენობა მნიშვნელოვნად აღემატება დადგენილ ზღვრულ ოდენობას.

დასკვნა

მუნიციპალიტეტს არ გააჩნია რაციონალური მიდგომა მისი ფუნქციონირებისათვის საჭირო ავტოსატრანსპორტო საშუალებების გამოყენებასთან დაკავშირებით, რამაც საბიუჯეტო ხარჯის გაზრდა გამოიწვია.

2.6 საკრებულოს წევრებზე ანაზღაურებული თანხები

კრიტერიუმი: მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს წევრი, გარდა თანამდებობის პირისა, თავის უფლებამოსილებას ახორციელებს სამსახურებრივი საქმიანობისაგან მოუწყვეტლად და უსასყიდლოდ. ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის შესაბამისად,⁶² მას შეიძლება აუნაზღაურდეს უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯები, როგორცაა, საკრებულოსა და კომისიის სხდომების, დროებითი სამუშაო ჯგუფების მუშაობაში მონაწილეობის მიღების, ამომრჩეველთან შეხვედრების, ასევე საკრებულოს და საკრებულოს თავმჯდომარის ცალკეული დავალების შესრულებისათვის საჭირო ხარჯები.

მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად,⁶³ ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტია პირველადი აღრიცხვის დოკუმენტი, სადაც მითითებულია დოკუმენტის დასახელება, შედგენის თარიღი, სამეურნეო ოპერაციის შინაარსი, რაოდენობა, ფასი, თანხა, სამეურნეო ოპერაციაში მონაწილე მხარეთა დასახელება, დოკუმენტის სწორად გაფორმებისათვის პასუხისმგებელ პირთა ხელმოწერები და სხვა მონაცემები.

ფაქტობრივი გარემოება: მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებს (არათანამდებობის პირები) 2019-2020 წლებში, ხარჯების ანაზღაურების სახით, მიღებული აქვთ სულ 131.0 ათასი ლარი.⁶⁴ საკრებულოს დადგენილებით, აღნიშნულ პირებზე ხარჯების ასანაზღაურებლად განსაზღვრული იყო ზღვრული მოცულობა, საკრებულოს თავმჯდომარის თანამდებრივი სარგოს 15%, ანუ ყოველთვიურად – 397 ლარი.⁶⁵

⁶⁰ სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 26 ივლისის დადგენილება №9.

⁶¹ სამორიგეო ავტომობილის რიცხვი დგინდება შემდეგი პროპორციით: 100 საშტატო რიცხოვნობამდე დაწესებულების შემთხვევაში 1 ავტომობილი ყოველ 20 საშტატო ერთეულზე, ხოლო ყოველ დანარჩენ 50 საშტატო ერთეულზე – დამატებით 1 ავტომობილი.

⁶² „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, მუხლი 41.

⁶³ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ ინსტრუქციის“ მე-5 მუხლი; საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 5 მაისის №108 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (სსბასს-ების) საფუძველზე ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშების წარმოების შესახებ“ ინსტრუქცია, მუხლი 6, პუნქტი 7.

⁶⁴ 2019 წელს – 65.5 ათასი ლარი; 2020 წელს – 65.5 ათასი ლარი.

⁶⁵ სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 მარტის №23 დადგენილება.

დასკვნა

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ შესაბამისად, საკრებულოს არათანამდებობის პირებს ეძლევათ არა ფიქსირებული გასამრჯელო, არამედ უნაზღაურდებიათ უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯები. შესაბამისად, თანხის გაცემის საფუძველი უნდა იყოს ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

მუნიციპალიტეტმა ვერ წარმოადგინა დოკუმენტური მტკიცებულებები საკრებულოს წევრების ხარჯების დასადასტურებლად. შესაბამისად, მუნიციპალიტეტის მიერ საკრებულოს წევრებზე თანხების გაცემა ვერ ჩაითვლება წარმოშობილი ხარჯების ანაზღაურებად, რადგან საფუძველად არ უდევს ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტი. ამასთანავე, საკრებულოს წევრებზე ძირითადად ანაზღაურებულია დადგენილებით განსაზღვრული მაქსიმალური თანხები, რაც მიანიშნებს დაუსაბუთებლად თანხების გაცემაზე.

მუნიციპალიტეტმა 2019-2020 წლებში მუნიციპალიტეტის საკრებულოს არათანამდებობის პირებზე ხარჯების ასანაზღაურებლად 131.0 ათასი ლარი გასცა შესაბამისი დოკუმენტური დადასტურების გარეშე, საბიუჯეტო პროცესთან დაკავშირებული მარეგულირებელი საკანონმდებლო ნორმების შეუსაბამოდ.

2.7 შემოსავლების ადმინისტრირება

2.7.1 საიჯარო ქირის განსაზღვრის ნაკლოვანებები

კრიტერიუმი: მუნიციპალიტეტის ორგანოები ქონებრივი უფლებების განხორციელებისას ვალდებული არიან, დაიცვან მუნიციპალიტეტის, როგორც მესაკუთრის ინტერესები. თვითმმართველმა ერთეულმა, მუნიციპალური ქონების განკარგვისას, მეტი შემოსავლის მიღების მიზნით უნდა მიიღოს კანონშესაბამისი და ოპტიმალური გადაწყვეტილება.⁶⁶

ფაქტობრივი გარემოება: 2011 წლის 10 იანვარს მუნიციპალიტეტმა ფიზიკურ პირზე 5 წლის ვადით აუქციონის ფორმით იჯარით გასცა 202 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი.⁶⁷ იჯარით სარგებლობისთვის წლიურ ქირად განისაზღვრა 519 ლარი. 2011 წლის 1 ივლისიდან მოიჯარემ, მუნიციპალიტეტის თანხმობით, ქონება გასცა ქვეიჯარით, თვეში – 500 ლარად.⁶⁸ 2016 წლის 11 იანვარს, საიჯარო ვადის ამოწურვის შემდეგ, მუნიციპალიტეტმა 2021 წლის 10 იანვრამდე გაახანგრძლივა იჯარის მოქმედების ვადა და საიჯარო ქირა გაზარდა წლიურ 720 ლარამდე.⁶⁹

მერამ აღნიშნული საიჯარო ვადის ამოწურვის შემდგომ კვლავ გააგრძელა ხელშეკრულების მოქმედების ვადა 2026 წლის 10 იანვრამდე, ისე რომ არ გადაუსინჯავს საიჯარო ქირა.⁷⁰

მხარეებს შორის გაფორმებული ხელშეკრულება ითვალისწინებდა საიჯარო ქირის გაზრდის შესაძლებლობას. მიუხედავად ამისა, ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში და ასევე ხელშეკრულების ვადის ორჯერ გაახანგრძლივებისას, მუნიციპალიტეტს მოიჯარისაგან არ მოუთხოვია ინფორმაცია ქვეიჯარის ხელშეკრულების შესახებ და, შესაბამისად, არ

⁶⁶ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი, მუხლი 16, პუნქტი 2, მუხლები: 109, 110.

⁶⁷ აღნაგობის უფლებით გაცემულია მიწის ნაკვეთი-საკადასტრო კოდი 44.01.35.027.

⁶⁸ მიწის ნაკვეთზე განთავსებულია ქვემოიჯარეს- შპს „ჯეოსელის“ სატელეფონო ანბა.

⁶⁹ ღირებულება შეფასებული აქვს აუდიტორულ კომპანიას, 2015 წლის 25 დეკემბრის მდგომარეობით.

⁷⁰ 2021 წლის პირველი თებერვლის შეთანხმება.

დაუდგენია მიწის იჯარის რეალური საბაზრო ღირებულება, რაც არსებითად აღემატებოდა სახელშეკრულებო ქირის ოდენობას.⁷¹

მიზანშეწონილია მუნიციპალიტეტმა გადახედოს გაფორმებული ხელშეკრულების პირობებს, გადასინჯოს საიჯარო ქირის ოდენობა და შესაბამისობაში მოიყვანოს საბაზრო ფასებთან.

2.7.2 დასუფთავების მოსაკრებლის არასათანადო ადმინისტრირება

კრიტერიუმი: ადგილობრივი მოსაკრებელი არის აუცილებელი გადასახდელი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტში, რომელსაც იხდიან ფიზიკური და იურიდიული პირები.⁷² სენაკის მუნიციპალიტეტში, საკრებულოს დადგენილების საფუძველზე, დაწესებულია დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებელი.⁷³ მოსაკრებლის სათანადო ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელია აღმასრულებელი ორგანო.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების შესაბამისად, დასახლებულ ტერიტორიაზე დასუფთავების მოსაკრებლის გადამხდელები არიან ფიზიკური ან/და იურიდიული პირები, რომლებიც მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წარმოქმნიან საყოფაცხოვრებო ნარჩენებს.

ფაქტობრივი გარემოება:

2019-2020 წლებში დასუფთავების მოსაკრებლის ადმინისტრირებას მუნიციპალიტეტში ახორციელებდა ა(ა)იპ – სენაკის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი მომსახურების ცენტრი. საანგარიშო პერიოდში მოსაკრებლის ფაქტობრივმა შესრულებამ 83.2 ათასი ლარი შეადგინა. აუდიტის შედეგად გამოვლინდა, რომ მოსაკრებლის ადმინისტრირებას ა(ა)იპ აწარმოებდა მხოლოდ იურიდიულ პირებთან გაფორმებული ხელშეკრულებების ფარგლებში. ამასთანავე, არ არის შედგენილი ფიზიკური პირების ბაზა, რომლებსაც ევალებათ მოსაკრებლის გადახდა და, შესაბამისად, არ არის გაანგარიშებული წლის განმავლობაში ამოსადები მოსაკრებელი.

რეკომენდაცია №7

მერიამ საკრებულოსთან ერთად იმსჯელოს ფიზიკური პირების მიერ დასუფთავების მოსაკრებლის გადახდის საკითხზე და მიიღოს ისეთი გადაწყვეტილება, რომელიც დამოკიდებული იქნება ადმინისტრაციული რესურსის გონივრული გამოყენებით შედეგის მიღწევის შესაძლებლობაზე. აღნიშნულმა ხელი უნდა შეუწყოს დასუფთავების მოსაკრებლის სახით მისაღები შემოსავლების დაგეგმვის გაუმჯობესებას.

2.8 მმართველობითი გადაწყვეტილებები

2.8.1 საბანკო მომსახურების შესყიდვა

კრიტერიუმი: დეპოზიტებსა და ანგარიშებზე დარიცხული პროცენტები მიეკუთვნება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობებს.⁷⁴ ბიუჯეტის შესრულებისათვის პასუხისმგებელია მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო.⁷⁵ ნებისმიერი გარიგების დადებისას ხელმძღვანელობა უნდა ითვალისწინებდეს მუნიციპალიტეტის ინტერესებს, მათ შორის, მიიღოს მაქსიმალური სარგებელი დეპოზიტზე განთავსებული მუნიციპალური სახსრებიდან.

⁷¹ ქონების ქვეიჯარის ღირებულება 2011-2020 წლებში 57.0 ათასი ლარია, მაშინ როდესაც იმავე ქონების იჯარით სარგებლობისთვის მუნიციპალიტეტს მიღებული აქვს მხოლოდ 6.2 ათასი ლარი.

⁷² საქართველოს კანონი „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ“, მუხლი 1.

⁷³ სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 29 აპრილის დადგენილება №21.

⁷⁴ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 5 მაისის N99 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის“, თავი IV.

⁷⁵ საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი, მუხლი 7, პუნქტი 1; მუხლი 83, პუნქტი 2.

ფაქტობრივი გარემოება: 2019-2020 წლებში სენაკის მუნიციპალიტეტი სარგებლობდა ერთ-ერთი საბანკო დაწესებულების მომსახურებით. ბანკი მომსახურებას უწევდა როგორც მუნიციპალიტეტს, ასევე მის მიერ დაფუძნებულ იურიდიულ პირებს.⁷⁶ მუნიციპალიტეტს ბანკის ანგარიშზე ფულადი რესურსების განთავსების სანაცვლოდ ერიცხებოდა სარგებელი, წლიური 10.0 %-ის ოდენობით.

2013 წლის მარტში მუნიციპალიტეტმა ბაზრის კვლევის ჩატარების გარეშე პირდაპირ გააფორმა ხელშეკრულება მომსახურე ბანკთან. მიუხედავად იმისა, რომ ქ. სენაკში ფუნქციონირებს რამდენიმე საბანკო დაწესებულება, მუნიციპალიტეტს შემდგომ წლებში საბანკო მომსახურების საუკეთესო შეთავაზების გამოსავლენად ბაზრის კვლევა აღარ ჩატარებია. აღსანიშნავია, რომ სენაკის მუნიციპალიტეტის მიმდებარე თვითმმართველ ერთეულში, აუდიტის ჯგუფის მიერ ანალოგიური საკითხით დაინტერესების შემდეგ, მუნიციპალიტეტმა ჩაატარა ბაზრის კვლევა და ხელშეკრულება გააფორმა სხვა საბანკო დაწესებულებასთან. ხელშეკრულების პირობების მიხედვით, მიმდინარე ანგარიშზე დასარიცხი სარგებელი განისაზღვრა წლიური 14.1 %-ით.

აუდიტის ჯგუფის მიერ საკითხით დაინტერესების შემდეგ, სენაკის მუნიციპალიტეტი 2022 წელს გეგმავს ბაზრის კვლევას და ხელშეკრულების გააფორმებას საუკეთესო წინადადების მქონე კონკურსანტთან.⁷⁷

დასკვნა

2019-2020 წლებში საბანკო მომსახურების ბაზრის შესწავლა და საუკეთესო წინადადების წარმომდგენთან ხელშეკრულების გაფორმება მუნიციპალიტეტს, სავარაუდოდ, მოუტანდა მომსახურების უკეთეს პირობებს ან/და დამატებით ფინანსურ სარგებელს.

2.8.2 საბიუჯეტო პროცესის ხარვეზები

კრიტერიუმი: ბიუჯეტის პროექტის მომზადების მიზნით, საფინანსო ორგანო საბიუჯეტო ორგანიზაციებს უგზავნის საბიუჯეტო განაცხადის ფორმებს ასიგნებებისა და მომუშავეთა რიცხოვნობის საორიენტაციო ზღვრული მოცულობების მითითებით.⁷⁸

მუნიციპალიტეტმა ბიუჯეტში გათვალისწინებული საკუთარი შემოსულობების საპროგნოზო მაჩვენებლების (მოცულობის) ყოველწლიური ზრდის⁷⁹ საფუძველზე მიღებული გაზრდილი ფინანსური რესურსები შეიძლება გამოიყენოს მხოლოდ არაფინანსური აქტივების ზრდასთან დაკავშირებული გადასახდელების დასაფინანსებლად, გარდა ახალი ინფრასტრუქტურული ობიექტების (გზები, სპორტული და სააღმზრდელო დაწესებულებები, სხვა ობიექტები) მოვლა-შენახვისა და ფუნქციონირებისთვის საჭირო სახსრებისა.⁸⁰

საბიუჯეტო კოდექსი განსაზღვრავს ინფორმაციის ნუსხას, რომელსაც უნდა მოიცავდეს მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტი და ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში.⁸¹

⁷⁶ ხელშეკრულების პირობები და მოქმედების ვადა ავტომატურად ახლდებოდა ახალი საბიუჯეტო წლიდან.

⁷⁷ პასუხისმგებელი პირის განმარტება.

⁷⁸ საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი, მუხლი 77.

⁷⁹ დასაგეგმი საბიუჯეტო წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში გათვალისწინებულ საკუთარ შემოსულობებსა და წინა წლის დამტკიცებულ მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში გათვალისწინებულ საკუთარ შემოსულობებს შორის დადებითი სხვაობისას.

⁸⁰ „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, მუხლი 155, პუნქტი 3.

⁸¹ საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი, მუხლები: 76, 87.

ფაქტობრივი გარემოება: საანგარიშო პერიოდში მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელებული საბიუჯეტო პროცესი გამოირჩევა შემდეგი ნაკლოვანებებით:

- J) 2019-2020 წლების ბიუჯეტების პროექტის მომზადების მიზნით, მუნიციპალიტეტის საფინანსო ორგანოს საბიუჯეტო ორგანიზაციებისათვის არ გაუზავნია საბიუჯეტო განაცხადის ფორმები ასიგნებებისა და მომუშავეთა რიცხოვნობის საორიენტაციო ზღვრული მოცულობების მითითებით. მერიამ თავის მიერვე დაფუძნებულ იურიდიულ პირებს მხოლოდ წერილობით მიმართა, განაცხადების წარმოდგენის მოთხოვნით.
- J) 2019-2020 წლებში საკუთარი შემოსულობების საპროგნოზო მაჩვენებლების ზრდის საფუძველზე მიღებული ფინანსური რესურსები – 1,681.2 ათასი ლარი⁸² მუნიციპალიტეტმა არ მიმართა არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლში.
- J) 2019-2020 წლების ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშები მუნიციპალიტეტის აღმასრულებელმა ორგანომ შეადგინა ხარვეზებით და მასში სრულყოფილად არ არის ასახული კანონმდებლობით მოთხოვნილი ინფორმაცია. კერძოდ, წლიური ანგარიშები არ მოიცავს:
 - ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებულ ნაშთებს წლის დასაწყისში;
 - პროგრამების მიხედვით დაზუსტებულ ასიგნებებსა და გადახდილ თანხებს შორის შეუსაბამობის განმარტებას, სადაც პროგრამების შესრულების მაჩვენებელი ნაკლებია 70%-ზე;
 - ინფორმაციას სარეზერვო და წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდიდან სახსრების გამოყოფის მდგომარეობის შესახებ;
 - წლიური ბიუჯეტით დასახული პრიორიტეტების ფარგლებში წლიური საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ განხორციელებული პროგრამების/ქვეპროგრამების აღწერას და მიღწეულ შედეგებს.

ამდენად, 2019-2020 წლების საბიუჯეტო პროცესი მუნიციპალიტეტში მიმდინარეობდა ხარვეზებით და არ შეესაბამებოდა მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

2.8.3 დელეგირებული უფლებამოსილების დაფინანსება საკუთარი შემოსავლებიდან

კრიტერიუმი: მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, სახელმწიფოს მიერ უფლებამოსილებების დელეგირების შემთხვევაში, მუნიციპალიტეტმა უნდა მოითხოვოს შესაბამისი მატერიალური და ფინანსური რესურსი.⁸³

ფაქტობრივი გარემოება: 2019-2020 წლებში მუნიციპალიტეტს დელეგირებული ჰქონდა ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის, ვეტერანთა და ლტოლვილთა დაკრძალვის ხარჯის, მოსწავლეთა ტრანსპორტირების ხარჯის დაფინანსება. უფლებამოსილების განსახორციელებლად, მიზნობრივი ტრანსფერის სახით მუნიციპალიტეტმა მიიღო 999.3 ათასი ლარი. გარდა მიზნობრივი ტრანსფერისა, 2019-2020 წლებში მუნიციპალიტეტმა გამოიყენა საკუთარი ფინანსური რესურსი და დელეგირებული უფლებამოსილების დაფინანსების მიზნით

⁸² 2019 წელს - 599,1 ათასი ლარი; 2020 წელს - 1,082.1 ათასი ლარი.

⁸³ „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, მუხლი 17.

დამატებით დახარჯა 100.8 ათასი ლარი.⁸⁴ აღნიშნული თანხა ძირითადად გამოყენებულია კომუნალური, ტრანსპორტისა და სხვა ხარჯების დაფინანსების მიზნით, რომლის დაგეგმვა და გაანგარიშებაც მუნიციპალიტეტს შეეძლო წინასწარ.

მუნიციპალიტეტს დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელებისთვის საჭირო ფინანსური რესურსის გაზრდის მიზნით შესაბამის სახელმწიფო სტრუქტურისთვის არ მიუძღრთავს. მუნიციპალიტეტის შესაბამის სამსახურებს არ უმსჯელიათ შეემცირებინათ ხარჯები და საქმიანობა განხორციელებინათ დელეგირებული უფლებამოსილებისათვის გამოყოფილი ფინანსური რესურსის ფარგლებში.

დასკვნა

მუნიციპალიტეტმა ვერ უზრუნველყო დელეგირებული უფლებამოსილების განმახორციელებელი სამსახურების საქმიანობის დაგეგმვა და წარმართვა მათთვის გამოყოფილი ფინანსური რესურსების შესაბამისად, რამაც დამატებითი ხარჯები გამოიწვია.

რეკომენდაცია №8

მერიამ იმსჯელოს დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში განსახორციელებელი საქმიანობის დაფინანსების საკითხზე. შესაბამისად, სათანადოდ დაასაბუთოს და მოითხოვოს დელეგირებული უფლებამოსილებისათვის გამოყოფილი ტრანსფერის მოცულობის გაზრდა ან შეამციროს ხარჯები და საქმიანობა განახორციელოს გამოყოფილი დაფინანსების ფარგლებში. აღნიშნული უზრუნველყოფს საქმიანობის უფრო ეკონომიურად განხორციელებას და საბიუჯეტო ხარჯების ოპტიმიზაციას.

2.8.4 ა(ა)იპ – სამეგრელო-ზემო სვანეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაციის დაფინანსება

კრიტერიუმი: მუნიციპალიტეტს საქმიანობის კოორდინაციის მიზნით, უფლება აქვს დააფუძნოს იურიდიული პირები, რომლებიც ორგანიზებას გაუწევენ მისი უფლებამოსილების სფეროში განსახორციელებელ ერთობლივ ღონისძიებებს.⁸⁵

2018 წელს სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარის მუნიციპალიტეტების მიერ დაფუძნებულ იქნა ა(ა)იპ – სამეგრელო-ზემო სვანეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაცია. სუბიექტის საქმიანობის მიზანია ხელი შეუწყოს სამეგრელოს რეგიონის იმიჯის ამაღლებას, ტურიზმის პოპულარიზაციას, რეგიონში უნიკალური ტურისტული პროდუქტების შემუშავებას და სხვ. მუნიციპალიტეტს, როგორც დამფუძნებელს, უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს ა(ა)იპ-ის საქმიანობასა და მართვაში.

ფაქტობრივი გარემოება: 2019 წელს მუნიციპალიტეტმა 30.0 ათასი ლარით დააფინანსა ა(ა)იპ – სამეგრელო-ზემო სვანეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაცია.

მუნიციპალიტეტმა ვერ წარმოადგინა ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა აქტივობები განახორციელა აღნიშნულმა სუბიექტმა და, შედეგად, რა სარგებელი მიიღო თვითმმართველმა ერთეულმა. აქედან გამომდინარე, ადგილობრივი ბიუჯეტიდან გაწეული 30.0 ათასი ლარის ხარჯის მიზანშეწონილობა ვერ დასაბუთდა. ამასთანავე, მუნიციპალიტეტს, როგორც

⁸⁴ 2019 წელი - 48.8 ათასი ლარი, 2020 წელი - 52.0 ათასი ლარი. მათ შორის, ტექნიკური ხარვეზის გამო, 2020 წელს მუნიციპალიტეტმა სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის და სარიტუალო მომსახურებაზე მიმართა საკუთარი შემოსავლები - 16.2 ათასი ლარის ოდენობით, როცა არ ჰქონდა ათვისებული მიღებული ტრანსფერი - 11.6 ათასი ლარი.

⁸⁵ „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, მუხლი 20, პუნქტი 2.

ა(ა)იკ-ის დამფუძნებელს, ვალდებულების მიუხედავად, მისი საქმიანობა არ გაუკონტროლებია.

2.8.5 საკონსულტაციო მომსახურების შესყიდვა

კრიტერიუმი: მუნიციპალიტეტში დასაქმებული მოსამსახურე ვალდებულია შეასრულოს თავისი სამსახურებრივი მოვალეობანი, რომლებიც განსაზღვრულია კანონით, თანამდებობრივი ინსტრუქციებით და სხვა სამართლებრივი აქტებით. მიზანშეწონილი არ არის დამატებით საკონსულტაციო კომპანიის დაქირავება იმავე ფუნქციების შესასრულებლად, რაც მოქმედ თანამშრომლებს ისედაც ევალდებათ. მუნიციპალიტეტი მოხელეთა პროფესიული განვითარებისათვის მიმართავს შრომის ანაზღაურებისათვის გათვალისწინებული საბიუჯეტო ასიგნებების საერთო მოცულობის არანაკლებ 1%-ს.⁸⁶ მუნიციპალიტეტი თავისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობის შესაბამისად შეისყიდის საქონელს, მომსახურებასა და სამუშაოებს.⁸⁷

ფაქტობრივი გარემოება: 2019 წელს მუნიციპალიტეტმა მემორანდუმი გააფორმა ა(ა)იკ – საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ფინანსისტთა ასოციაციასთან. მემორანდუმის თანახმად, წლიური შენატანი განისაზღვრება მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით⁸⁸ და სენაკის მუნიციპალიტეტისათვის შეადგენს 10.0 ათას ლარს. 2019-2020 წლებში მუნიციპალიტეტმა ასოციაციას გადაუხადა 30.0 ათასი ლარი, რაც 10 ათასი ლარით აღემატება მემორანდუმით განსაზღვრულ საწევრო ღირებულებას. მუნიციპალიტეტმა ვერ დაასაბუთა, რის საფუძველზე გადაიხადა ზედმეტი თანხა. გარდა ამისა, ვერ განმარტა, მემორანდუმის გაფორმების ნაცვლად, რატომ არ გამოიყენა შესყიდვის შესაბამისი საშუალება.

აუდიტის ჯგუფმა მოითხოვა ინფორმაცია ასოციაციის მიერ 2019-2020 წლებში მუნიციპალიტეტისთვის გაწეული მომსახურების შესახებ. წარმოდგენილი ინფორმაციით, მემორანდუმის ფარგლებში:

- ✓ სენაკის მუნიციპალიტეტის საჯარო მოხელეებმა მონაწილეობა მიიღეს ასოციაციის მიერ ბიუჯეტირების მიმართულებით ორგანიზებულ სწავლებებში;⁸⁹
- ✓ მუნიციპალიტეტს გაეწია დახმარება ბუღალტრული აღრიცხვის მოწესრიგების საკითხებში;
- ✓ მუნიციპალიტეტს გადაეცემოდა ყოველთვიური ჟურნალი საბიუჯეტო კუთხით საკანონმდებლო სიახლეების შესახებ.⁹⁰

დასკვნა

მუნიციპალიტეტმა ვერ წარმოადგინა საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულებები იმისა, თუ რა აუცილებლობით იყო განპირობებული მემორანდუმის გაფორმება, ვინაიდან მუნიციპალიტეტს გააჩნია შრომითი რესურსი და ვალდებულია საკუთარი რესურსით განახორციელოს აღნიშნული საქმიანობა. ამასთანავე, მოხელეებისთვის პროფესიული განვითარების ტრენინგების დაგეგმვის შემთხვევაში, მუნიციპალიტეტს მომსახურება უნდა შეესყიდა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. აქედან გამომდინარე,

⁸⁶ „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, მუხლი 101, პუნქტი 2.

⁸⁷ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონი. მუხლი 3. პუნქტი 1, ქვეპუნქტები: „ჟ“ და „ს“.

⁸⁸ 10-დან 50 ათას მოსახლემდე საწევრო განისაზღვრება 10.0 ათასი ლარით.

⁸⁹ სწავლებები ტარდებოდა ბიუჯეტირების მიმართულებით, როგორც თეორიულად, ისე პრაქტიკულად და მასში ჩართული იყვნენ მერიისა და ა(ა)იკ-ების თანამშრომლები.

⁹⁰ საკანონმდებლო სიახლეები ქვეყნდება და ხელმისაწვდომია matsne.gov.ge-სა და სხვა ინტერნეტგვერდებზე.

მუნიციპალიტეტის პასუხისმგებელ პირებს არ უნდა გაეწიათ ხარჯი მემორანდუმის ფარგლებში დაგეგმილ საკონსულტაციო მომსახურებაზე. შესაბამისად, მუნიციპალიტეტის მიერ გადახდილი 30.0 ათასი ლარი არარაციონალური ხარჯია.

2.8.6 ჩაუტარებელი ინვენტარიზაცია

კრიტერიუმი: მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით,⁹¹ საბიუჯეტო ორგანიზაციაში აქტივებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარება სავალდებულოა ყოველწლიურად, საბიუჯეტო წლის ბოლოს, გარდა უძრავი ქონებისა, რომლის ინვენტარიზაცია ხორციელდება სამ წელიწადში ერთხელ მაინც. ორგანიზაციაში ინვენტარიზაციის ჩატარების მიზნით, ხელმძღვანელის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის (ბრძანების) საფუძველზე, იქმნება საინვენტარიზაციო კომისია.

ფაქტობრივი გარემოება: მუნიციპალიტეტს 2019-2020 წლებში არ ჩაუტარებია აქტივებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაცია, მათ შორის, არც უძრავი ქონების ინვენტარიზაცია (სავალდებულოა სამ წელიწადში ერთხელ). შესაბამისად, არ არის დადგენილი აქტივები და ვალდებულებები, ასევე ბალანსის საცნობარო მუხლებში ასახული ფაქტობრივი ნაშთები და არ არის ის შედარებული ორგანიზაციის სააღრიცხვო მონაცემებთან, ასევე არ ჩატარებულა ფინანსური და არაფინანსური აქტივების შენახვის/დაცვის წესებისა და პირობების და არაფინანსური აქტივების ექსპლოატაციის წესების დაცვის მიზნით შემოწმება.

დასკვნა

ორგანიზაციული და პერსონალის მართვასთან დაკავშირებული ხარვეზების გამო, მუნიციპალიტეტმა დაარღვია სამართლებრივი აქტის მოთხოვნები ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის შესახებ. შედეგად, არსებობს მაღალი რისკი, რომ შეუმჩნეველი დარჩეს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არაფინანსური და ფინანსური აქტივების, მატერიალური ფასეულობების შენახვისა და დაცვის პირობების დარღვევის, ასევე დაკარგვის ან დაზიანების შემთხვევები.

რეკომენდაცია №9

მერიამ განახორციელოს ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაცია კანონმდებლობით დადგენილი წესით, რაც უზრუნველყოფს აქტივებისა და ვალდებულებების ფაქტობრივი ნაშთების დადგენას და მათ შედარებას ორგანიზაციის სააღრიცხვო მონაცემებთან. აღნიშნულის საფუძველზე შესაძლებელი იქნება ინვენტარიზაციის შედეგების დადგენა და შესაბამისი მატერიალურად პასუხისმგებელი პირების გამოვლენა. აღნიშნული გაზრდის მუნიციპალური აქტივების დაცულობის ხარისხს.

2.9 წინა პერიოდში ჩატარებული აუდიტები

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა სენაკის მუნიციპალიტეტის 2016-2017 წლების ბიუჯეტებით გათვალისწინებული პროგრამების შესაბამისობის აუდიტი. აუდიტის ობიექტმა გაატარა ღონისძიებები და წარმოადგინა ინფორმაცია წინა აუდიტის ანგარიშში ასახული ზოგიერთი ხარვეზის გამოსწორების შესახებ. ამასთან ერთად, მუნიციპალიტეტმა არ უზრუნველყო სათანადო რეაგირება და განმეორებით დაუშვა ზოგიერთი დარღვევა, რაც აღწერილია აუდიტის ანგარიშში, კერძოდ:

1) გამოვლინდა უხარისხოდ შესრულებული სამუშაოები, რომელთა საგარანტიო ვადა ამოწურული არ იყო;

⁹¹ „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის №605 ბრძანება.

-) მუნიციპალიტეტმა საკრებულოს არათანამდებობის პირების ხარჯები აანაზღაურა საბიუჯეტო პროცესთან დაკავშირებული მარეგულირებელი საკანონმდებლო ნორმების შეუსაბამოდ;
-) მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელებული ზოგიერთი ინფრასტრუქტურული პროექტი დაუსრულებელი და უფუნქციოა, დანიშნულების მიხედვით არ არის გამოყენებული შესყიდული სამშენებლო მასალები;
-) ინფრასტრუქტურული პროექტების დასრულების ვადები ზოგ შემთხვევაში უსაფუძვლოდაა გაზრდილი;
-) ტრანსპორტის ხარჯების გაწევისას კვლავ არ არის დაცული საბიუჯეტო სახსრების რაციონალური და გონივრული ხარჯვის პრინციპები და სხვ.

მნიშვნელოვანია, რომ აუდიტის ობიექტმა დაგეგმოს და განახორციელოს საჭირო ქმედებები აუდიტის ანგარიშებში ასახული დარღვევა-ნაკლოვანებების გამოსწორებისათვის და მომავალში არ დაუშვას მათი განმეორება. აღნიშნული აუცილებელია საჯარო დაწესებულების ინტერესების დაცულობისა და საბიუჯეტო სახსრების რაციონალური ხარჯვისათვის.

აუდიტორები

ხელმოწერა

გიორგი ჩახვაძე
წამყვანი აუდიტორი

ლელა მიქაძე
აუდიტორი

დანართები

დანართი N1

2019-2020 წლებში მოწყობილი და დაზიანებული ობიექტები (ათასი ლარი)

შესყიდვის №	ობიექტი	ღირებულება	ხარვეზი
CMR190119852	სოფ. ზანის ამბულატორიის შენობის რეაბილიტაცია	30.9	შენობაში დაზიანებულია ჭერი, აცლილია საღებავი.
CMR200073515	სოფ. უშუფათის საბავშვო ბაღის ოთახების კაპიტალური შეკეთება	4.6	ოთახის კედელი დაზიანებულია.
CMR190108064	ძვ. სენაკის სოფ. კოტიანეთის საბავშვო ბაღის ჭიშკრის მოწყობა	12.9	ეზოში შესასვლელი ლითონის ჭიშკარი მოტეხილია.
CMR190108064	ძვ. სენაკის ბაღის რეაბილიტაცია	5.6	იატაკზე მოწყობილი ლამინატი გაცვეთილია.
CMR190108064	სოფ. შუა ნოსირის საბავშვო ბაღში 2 ოთახის რემონტი	4.7	ოთახის კედლები დაზიანებულია, იატაკზე მოწყობილი ლამინატი გაცვეთილია.
CMR200073511	სოფ. შუა ნოსირის საბავშვო ბაღის შენობის რეაბილიტაცია	4.7	2 ოთახში ჩამოსულია წყალი და დაზიანებულია ჭერი.
CMR200073511	სოფ. შუა ნოსირში სპორტული მოედნის რეაბილიტაცია	0.9	კარის ბადეები დაზიანებულია.
CMR190119852	სოფ. ეკის ამბულატორიის შენობის რეაბილიტაცია	27.3	ერთი ოთახის კედელი დაზიანებულია.
NAT200007814	სოფ. ხორშის საჯარო სკოლაში საპირფარეშოს მოწყობა	32.0	ერთ ადგილას კედელია დაზიანებული, ჩამოყრილია ნალესი.
CMR190104463	სოფ. თეკლათის, ბათარის უბანში საბავშვო ბაღის შეკეთება	5.3	ერთ ოთახში კედელი გაბზარულია, იატაკზე ლამინატი გაცვეთილია და ავარდნილია პლინტუსი.
CMR190104463	სოფ. თეკლათის საბავშვო ბაღში შენობის სახურავზე წყალსაწრეტი მილის მოწყობა	1.6	საწრეტიდან ჩამოსული წყალი აზიანებს კედლებს.
NAT200007814	სოფ. ახალსოფლის საჯარო სკოლის საპირფარეშოს მოწყობა	59.0	საპირფარეშოში დამონტაჟებული ონკანები დაზიანებულია.
NAT190008850	სოფ. ახალსოფლის საყვანიის უბნის გზის რეაბილიტაციის სამუშაოები	404.9	გზაზე დაზიანებულია რამდენიმე მონაკვეთი.
NAT20007815	ქ. სენაკის მე-2 საჯარო სკოლის საპირფარეშოს მოწყობის სამუშაოები	58.8	ერთ ადგილას დაზიანებულია კედელი, ჭერის კუთხეები.
NAT190000467	ქ. სენაკში, რუსთაველის ქუჩაზე მინი სპორტული მოედნის მოწყობა	41.2	დაზიანებულია შიდა დამცავი მავთულბადე, საღებავი აცლილია, დაზიანებულია სკამები და კარის ბადეები.
NAT190010636	ქ. სენაკის მე-3 საჯარო სკოლის მეორე კორპუსის რეაბილიტაცია	12.8	საკლასო ოთახში კედელი დაზიანებულია; დერეფანში დასველებულია კედლები და ჩამოყრილია ბათქაში.
NAT190000467	ქ. სენაკის მე-7 საჯარო სკოლაში მინი სპორტული მოედნის რეაბილიტაცია	56.3	დაზიანებულია შიდა დამცავი მავთულბადე, საღებავი აცლილია და დაზიანებულია ლითონის გადაბმები, კალათბურთის ფარი.
NAT190010636	ქ. სენაკის მე-7 სკოლის რეაბილიტაცია	29.7	პირველ სართულზე საპირფარეშოში ნაწილობრივ ჩამოსხნილია ჭერი, 2 პისუარი დაზიანებულია.

NAT200000443	ქ. სენაკის ფალიაშვილისა და კანკავას ქუჩების დამაკავშირებელი 100-საფეხურიანი კიბის რეკონსტრუქცია	120.3	კიბის მოაჯირები დაზიანებულია: აცლილია საღებავი, რამდენიმე ადგილას მოაჯირზე მოტეხილია ბეტონის დეკორაციული ბურთები.
NAT190010637	ქ. სენაკის სოფელ ლეძამამეს საჯარო სკოლის სარეაბილიტაციო სამუშაოები	23.8	სკოლის შენობაში მოწყობილი სველი წერტილებიდან ერთ-ერთი დაკეტილია დაზიანების გამო; შესასვლელი კედლები სველია, ხოლო სკოლის ეზოში მოწყობილი წყლის პოლიეთილენის ავზი - დაზიანებული.
სულ:		937.3	

დანართი N2

2019-2020 წლებში მოწყობილი და გამოუყენებელი ობიექტები (ათასი ლარი)

შესყიდვის №	ობიექტი	ღირებულება	ხარვეზი
CMR200098098	ძვ. სენაკის საჯარო სკოლაში საპირფარეოს მოწყობის სამუშაოები	64.5	პროექტი დასრულებულია, თუმცა მოსწავლეებს არ უსარგებლიათ.
NAT190010637	სოფ. ნოსირის სკოლის რეაბილიტაცია	32.8	სკოლის ეზოში მოწყობილი წყლის პოლიეთილენის ავზის შევსება ხდება მოზიდული წყლით, რის გამოც მოსწავლეები სისტემატურად ვერ სარგებლობენ ობიექტით.
CMR20084527	სოფ. მეორე ნოსირის ბაღის რეაბილიტაცია	15.5	ორ ოთახში არ არის ელგაყვანილობა; ერთ ოთახს იყენებენ საწყობად, ხოლო მეორე ოთახი საერთოდ უფუნქციოა.
CMR190119852	სოფ. ნოსირის ამბულატორიის შენობის რეაბილიტაცია	55.3	მოწყობილია სველი წერტილი, თუმცა წყალი არ არის დაერთებული და ვერ იყენებენ.
CMR190104463	სოფ. თელათის საბავშვო ბაღში ბუნებრივი აირის შეყვანა	1.5	რადიატორები მოწყობილია, არ არის შეყვანილი ბუნებრივი აირი. საბავშვო ბაღი ვერ სარგებლობს გათბობის სისტემით.
CMR190104463	ახალსოფელი-ისულის უბანში საბავშვო ბაღის ცენტრალური გათბობის მოწყობა ბუნებრივ აირზე	4.2	მოწყობილია მხოლოდ რადიატორები, საბავშვო ბაღი ვერ სარგებლობს გათბობის სისტემით.
CMR2001066729	ქ. სენაკის მე-6 საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია	8.0	ოთახი არ არის დასუფთავებული და არ იყენებენ.
სულ:		181.8	

დანართი N3

უამინდობის მოტივით მიწოდების ვადის ცვლილება

CMR/NAT	მიმწოდებელი	ხელშ. №	მიწოდების ვადის გადაწევა			დასარიცხი ჯარიმა (ლარი)
			ვადის გადაწევის ჯერადობა	სულ დღეების რაოდენობა	გადაწევის საფუძველი მოკლედ	
CMR190104445	შპს „აფო“	139	1	30	უამინდობა	464
CMR190104463	შპს „მშენსერვისი-7“	138	1	30	უამინდობა	545
CMR190108064	შპს TWINS („თვინს“)	146	1	15	უამინდობა	6568
CMR190110501	შპს „დაგი“	151	1	17	უამინდობა	317
CMR190133561	შპს „აფო“	201	1	45	უამინდობა	7006
CMR190133564	შპს „დაგი“	202	1	15	უამინდობა	30
CMR180205206	შპს „მშენსერვისი-7“	242	2	45	უამინდობა	3150
CMR180209539	შპს „ამბორი“	246	1	20	უამინდობა	166
NAT190000465	ი/მ ველოდი სანაია	36	1	7	უამინდობა	767
NAT190000548	შპს „ოსო“	35	1	20	უამინდობა	2474
NAT190003702	ი/მ მანუჩარ ნაჭყებია	118	2	32	უამინდობა	7998
NAT190008408	ფირმა „იმედი“	136	1	35	უამინდობა	6510
NAT190009929	ფირმა „იმედი“	169	1	20	უამინდობა	1255
NAT190011960	შპს „იო-სება“	181	2	21	უამინდობა	3045
NAT190018212	შპს TWINS („თვინს“)	226	1	5	უამინდობა	554
ჯამი:						40849

საკონტაქტო ინფორმაცია

ვებგვერდი და
სოციალური მედია

<https://www.sao.ge/>
<https://www.budgetmonitor.ge/ka>
<http://www.blog.sao.ge/>
<http://www.sai.ge/main/>
<https://www.linkedin.com/company/stateauditoffice/>
<https://www.youtube.com/user/saogeorgia>
<https://www.facebook.com/www.sao.ge>

ცხელი ხაზი

(+995 32) 243 81 81

ელექტრონული ფოსტა

sao@sao.ge

სახელმწიფო აუდიტის სამსახური
ქ.თბილისი, 0144, წმ. ქეთევან დედოფლის გამზირი N96
+995 32 243 84 38